



ქეთევან პაპიძე

თებერვალ  
ფასოერში  
დავიძერ

ამ პატაწინა ჩანახაგუბს  
გარითმულ ფიქრებსა  
და ოცნებებს, –  
მკითხველს ვთავაზობ  
თრთოლვითა და ვულის  
ფანცქალით. ბუმბერაზ  
პიყვითა სულებმა კი  
მომიგევონ კაღნიერება,  
რამეთვე მათი ნააბრევ-  
ნაფიქრალის ჩემეულად  
გარითმება ვცადე...  
ქეთევან პაპიძე

ქეთევან პაპიძე

თებერვალის ფასლებში  
ღავებები



პოეზია, თარგმანები, ჩანახატები

2017

ავტორი მადლობას უხდის გამომცემლობა - „ბაკმს“  
წიგნის სრულიად უანგაროდ გამოცემისათვის.

რედაქტორი – გურამ გოგიაშვილი  
ილუსტრაციები – მარიამ მიხანაშვილი  
დიზაინი – ელენე ვარამაშვილი

© ქეთევან პაპიძე – „თემის ჭალებში დავეძებ“

ISBN 978-9941-0-9586-3

თბილისი, 2017 წელი



ამ კოკროჭინა კრებულის ავტორი ქეთევან  
პაპიძეა.

მისი ლიტერატურული სიგყვა ადამინის  
ნაღველშეპარულ თუ იმედით შერხეულ ნაზ  
სიმებზე ერთგვარი მალამოა, სადმე ტყეში თუ  
მინდორში დაკრეფილი სამკურნალო ბალახ-  
ებისგან შემცვებული...

„თემის ჭალებში დავეძებ“ მისი პირველი  
წიგნია. ამიგომ მკითხველმა ნაკლები პრე-  
ტენზია უნდა წაუყენოს ავტორს. უწინარესად  
ამა თუ იმ ვითარებაში თავისი უთუოდ რო-  
მანგიკული სულის ნაირ-ნაირი მოძრაობების  
უშუალო, წრფელი გადმოცემებით რომ გვხი-  
ბლავს და თავისებურად გვამდიდრებს კიდეც.  
ანუ სხვა, უცხო ადამიანი ჩვენთვის სრულიად  
უცნობი სულით, მკითხველის სულიერი თან-  
აარსება ხდება, რომელიც ბევრ ისეთ რასმე  
ხდის თვალსაჩინოს, რაც არ შეგვიმჩნევია და  
იქნებ მთელი სიცოცხლე ვერც შეგვემჩნია.

ეწერება და არ დაწეროს?! მით უმეტეს, თუ  
იმისი წრფელი სიგყვა ჩვენდა თვალისა და გუ-  
ლის გასახარად არა სათბურში გამოყვანილი,  
არამედ მინდორში თავისით ამოსული ველური  
სილამაზის სრულიად უცხო ყვავილია.

### გურამ გოგიაშვილი



## პოეზია

თაძმის ჟალებში დავიძებ

თეძმის ჭალებში დავეძებ,  
აქ დამეკარგა სადღაც;  
ჩემი ლამაზი ბავშვობა  
ბეწვის ხიდზე თუ დამრჩა.

იქნებ, მდინარემ წაიღო?!  
ან გაიტაცა ქარმა.  
ან იქნებ, ციცქნა ბილიკით  
ჰეპლებს რკონისკენ გაჰყვა?!

მთის წყალს თვალებში ჩავხედე,  
ვგონებ, ვიპოვე ბედად;  
ჩემი ბავშვობის დღეები  
თმაში ჩაღვრილა ვერცხლად.

## ატამა ბილილების კაბა შემიკერა

ატამა ბილილების კაბა შემიკერა,  
მიწამ მომიქსოვა იის მაშიები,  
ცამ მარგალიტები თმებში ჩამიპნია,  
კაბა მომიქარგა მზრწყინავ არშიებით.

დედოფლად მორთული ყვავილთა თოვაში,  
დაგეძებ, იის სურნელი მათრობს!  
მომენატრები როგორც არასდროს,  
მიყვარხან! გნატრობ! მიყვარხან! გნატრობ!

## ნატორა

ია-იებით მოჩითულ ციცქნა  
ზეწრებს ვაშრობდე ყოველდღე მზეზე;  
და კიდევ... გიჭის მამიკოს პერანგს!

რძის მოზღვავებას მალი-მალ ვგრძნობდე,  
თავს დამნათოდეს უღრუბლო ზეცა.

ძვირთას ფეხის ხმას შორიდან ვცნობდე,  
და სასთუმალთან მხვდებოდეს დილით  
აყვავებული ალუბლის ტოტი...  
ბედნიერება არ მინდა მეტი.

## ლამაზი სიზმარი

სიყვარული მოგრიალდა ყვავილების ეტლით,  
აგვაფრინა მეცხრე ცაზე

ანგელოზის თრთებით.

ვარსკვლავებმა გვიმასპინძლა და  
ნამგალა მთვარემ

ღვინო გვასვა ვერცხლის თასით

სიყვარულით მთვრალებს.

გამეღვიძა, მოგძახოდი,

ქუხდა მთათა ექო.

სასთუმალთან ლამაზ სიზმრის

ნამსხვრევები ეყწო.

## საჩუქრი

თებერვლის პირზე  
დაგიკრეთ იებს!  
ხეში ჩამდგარ წყალს  
ვასხურებ ჰეშვით  
ვაზის ცრემლებს და  
ლურჯი ცის ღიმილს  
სხივით შეკონილს  
მოგართმევ კდემით.

## ფარისცვალება

ფერისცვალებას –  
შეოქროსფრებულ ცაცხვის ფოთოლზე,  
სააღდგომო კვერცხისფერის ჭიამაია  
მისტიროდა ფოთლის სიმწვანეს.

## გაფრანილი ოცნება

ოცნების ლურჯ ფრინველს  
მოჰკვეცია ფრთები,  
აუხდენელ სიზმრებს  
დაჰკარგვია გზები.  
თებერვალი დამდგარა,  
თვალში ცრემლი ჩამდგარა,  
იის სუნით ვთვრები,  
გაფრენილან წლები...  
გაქრა ყრმობის განცდა,  
დამრჩა სევდა უთქმელი  
სიყვარულის ნაცვლად.

## აღმაფრენა

როცა ლამით ელვის ლმერთი  
ცაზე დასეირნობს ეტლით,  
და ქარი კი ვაზის რტოებს  
გადაურჩენს ქროლვა-ქროლვით,  
ლია სარკმელს აზანზარებს  
გაზაფხულის გრგვინვა, ხოტი.  
შენს საწოლთან სურნელს აფრქვევს  
ერთადერთი ვარდის ტოტი...  
და გიტაცებს აღმაფრენა  
ქუხილის და ქარაშოტის

## შემოდგომა

შემოდგომა –  
ენვენისთვის მოქანცული მზე,  
ოი, როგორ მენატრები,  
სევდას ვეღარ ვძლევ.  
ერთ ფართატა ღრუბელს მორცხვად  
დავაბარე შენთან კოცნა.  
ამისრულა ნატვრა,  
გძებნა მთად და ბარად,  
გადაიქცა წვიმად,  
ჩამოვიდა ციდან,  
სევდიანი თვალები  
ჩაგიკოცნა ფრთხილად.

## ლ306ობისთვი

დგას სურნელი შემაჭრებულ მუშკამბრის,  
ოქტომბრის მზე სულში სითბოდ იღვრება,  
მარნის კართან შეზარხოშდა ნიავი,  
საალერსოდ შენსკენ გამოეშურა.

## პორიანა 6308ა

დამტვერილ თოვლისფერი ზეციდან  
საქმიან ქალის ჩქარი ნაბიჯით ეშვება წვიმა...

რომ მცხუნვარე მზის სხივების მაღლით,  
დაბრუნდეს უკან ღრუბლის ფთილებად,

და თან წაიღოს დედამიწის ათასი ჭორი.

## მოულოდნელად

მოულოდნელად მოიღრუბლა და  
მოულოდნელად გაწვიმდა!  
მოულოდნელად წახვედი,  
მოულოდნელად აცივდა.  
ცაცხვის ტოტებმა მოულოდნელად  
ქარს შეაგებეს სველი ფოთლები,  
მოულოდნელად გადაიკარა,  
ცისარტყელას და შენ გელოდები!

## შენია ფიქრიბში დაიმსხვრა ლამა

შენზე ფიქრებში დაიმსხვრა ლამე,  
გაიისტორდა ბნელი უკუნი;  
ლილისფერ ზეცას  
ვარსკვლავები შერჩა აქა-იქ.  
ლია სარკმლიდან განთიადი შემოიპარა,  
დაღლილ თვალებზე  
მომეფერა თეთრი თითებით.

ფუნქრის რაფაზე დაჰანეს ივბი...

ფანქრის რატაზე დაჭკუნენ იები...  
და სიყვარულის ცისთვერი ხიდი  
წალევა, შთანთქა  
გულგრილობის ცივმა მდინარემ...

\* \* \*

„ფიქრად ღალატიც ცოდვააო!“  
გვმოძლვრავს ბიბლია!  
ხითხითებს ეშმა:  
„ამ ღალატშიც რაღაც ხიბლია“...

ღმერთმა დამიტანოს ღალატისგან...  
ფრთახატულ ბავშვობას გავიხსენებ;  
როცა ცხოვრებისგან დავიღლები,  
შენზე ვიფიქრებ და დავისვენებ.

## ლალატი? – არა!

გახდით ნანატრი  
მეგობარი ჩემი სულისა!  
– წაუჩურჩულა ლამაზ ქალს ვაცმა, –  
(ცოლიანმა, რაღა თქმა უნდა).

საკითხავია: რად შეიცვალა  
დღეისდღით ნეტავ,  
ოდითგანვე მშვენიერ  
სიტყვის შინაარსი – უსაშინლესად  
საზარელი სიტყვით – ღალატი?!

## სახუმარო

შენ ამოდიხარ განა იმიტომ,  
რომ ვერ ძლებ უჩვენოდ?

— არა, უბრალოდ წესია ასე —  
აგარაკზე გაგზავნილ ცოლა-შვილს  
მიაკითხოს მეუღლემ უნდა  
კვირაში ერთხელ,

და დაუტოვოს  
ხილთან ერთად,  
მოლოდინის ნეტარი განცდა  
კვლავაც შეხვედრის.

## სევდიანი საღამო აგარაზე

საღამოვდება კოჭორში,  
ცრის...

და ჩემს ოთახში ბურუსთან ერთად  
ცაცხვის ყვავილის ნაზი სურნელი  
შემოაქვს ქარს.

წვიმს...  
სიმარტოვის სიცარიელეს  
ციცქნა ქალ-ვაჟის  
წკრიალა ხმები  
ნაწილობრივად ავსებენ მხოლოდ!

მამას ელიან,  
და მოლოდინით დაღლილებს, უკვე  
რული ერევათ ფოთინა თვალებს.  
უშენოდ ყოფნა ძალიან გვიჭირს!  
შეაღამეა კოჭორში,  
კვლავ წვიმს და წვიმს.

## ხსოვნა

რა მწუხარეა ეს გაზაფხული,  
ან შვენის აპრილს თალხი ფერები;  
გადაპენტილა ნუში თოვლისთვად,  
ჩვენ რად შეგვმოსე მერცხლის ფერებით?!

იებისა და ცრემლის მორევში  
ვლოცულობთ, შენს ნათელ სულს ვეფერებით,  
რა მწუხარეა ეს გაზაფხული,  
ან შვენის აპრილს თალხი ფერები.

## წუთისოფელი

წუთისოფელი ყოფილა მართლაც  
ამქვეყნიური ყოფა!  
სულის ჩადგმიდან – მის ამოსვლამდე  
სულ ერთი წუთის ტოლა!

წუთში გაირბენს ტანკვის წლები და  
სულის სიმშვიდეც მოვა,  
შთამომავლობას დარჩება მხოლოდ  
მარადიული ხსოვნა!

„მიწა ვიყავით, მიწად ვიქცევით“,  
მიწად, რომელმაც გვშობა...

## საქართველოისათვის

შრიალებდნენ პროსპექტზე  
მრავლისმომსწრე ჭადრები...  
ავისმომასწავებლად ლიცლიცებდნენ  
სანთლები...  
თენდებოდა აპრილი  
სისხლისთვის რიურაუებით,  
თავისუფლებისათვის როცა  
ხელთა აპყრობით,  
ლოცულობდით მუხლმოყრით  
საქართველოისათვის.

თქვენი სისხლის მდინარე  
კუპრისთვისი ხელებით  
დიდდებოდა თანდათან! იყო წყევლაც,  
გოდებაც,  
და სიკვდილთან ჭიდილში –  
იყო სულთმობრძავების  
ლოცვა – მრავალტანჯული  
საქართველოისათვის!

გმირებს გლოვა გიხდებათ! და ჩვენც  
ცრემლთა დინებით  
შევღალადებთ ზეციერს: რომ სისხლს მტერს  
არ შევარჩენთ!  
საქართველოისათვის, საქართველოისათვის,  
ღმერთო, კიში გვიმრავლე!

\* \* \*

აქამდე ჩუმად, უსისხლოდ გვკლავდნენ,  
გვანთხევდნენ ბოლმას და შურს,  
მიეცათ მიზეზი და დაუნდობლად  
გვავლებენ ქართველებს მუსრს.

შავი ცრემლები გვედინება,  
ისმის მწეხარე გლოვის ბარი,  
გული გვეთუთქება, გვეტირება,  
მიდის მდინარედ სისხლის ღვარი.

მეტის მოთმენა აღარ შეიძლება,  
კმარა, ჩვენს სულში ხელის თათური,  
დუმილით არათერი შეიცვლება,  
ძარღვებში გვიდუღს სისხლი ქართული.

გვთარავდა მუდამ ძნელბედობის უამს,  
წმინდა გიორგის ბასრი მახვილი,  
მოვა დრო, გვჰერა, თბილისის თავზე  
აფრიალდება დროშა ნამდვილი!

## რას ვინატრებდი?

ჩემს სამშობლოს, სისხლით დაშრეტილს,  
ზეცის თავანზე  
გადაჰკროდეს შვიდთერა რკალი!

## რას ვინატრებდი?

სულეთიდან გადმოდიოდეს  
აღმაშენებლის მეომართა მრისხანე ჟარი.

## რას ვინატრებდი?

დღეს დათალხულ ჩემს საქართველოს  
ატმის ყვავილთა ფურცლისთვერი  
დადგმოდეს უამი!

## ერის სიმრავლე თუ გადაგვარჩენს

ქორწილებია დღეს კანტი-კუნტად!  
ქორწინდებიან დღეს ისე ჩუმად,  
მეზობელსაც კი აღარ ესმის  
ტკბილი მაყრული...

ზეცას ასკდება მშობიარე ქალის კივილი  
და იბადება მომავალი საქართველოსი!  
... ერის სიმრავლე თუ გადაგვარჩენს!

\* \* \*

უცებ ამიხდა ტკბილი ოცნება  
ვარდის ფურცლების ფერთა.  
ჰილველი სიტყვა წარმოსთქვა ციცქამ,  
ჰილველი სიტყვა – დედა!

## დათალხულ საქართველოს

კარგა ხანია თალხი მოსავთ  
ტურთვა ასულებს!  
... და ქართლის დედის ძემუთაგან  
რძის მაგიერ მოწვეთავს სისხლი...

ზოგი ძმას გლოვობს, ზოგი სატრთოს,  
მამას, მეუღლეს;  
ზოგიც უმრალოდ, თანაუგრძნობს  
ნაცნობ-მეგობრებს.

ძაძით მოსილი წუხს სამშობლო –  
ღვთისმშობლის ხვედრი;  
შავი ფერი დღეს სავალალოდ  
მოდად ქცეულა...

## გიორგის

მამა-პაპური ხეივნის ჩრდილქვეშ  
ვარდებში ჩათლულ პაწია ეტლში,  
სძინავს ნებიერ და მშვიდი ძილით,  
ცხრამეტი დღის წინ მოვლენილს ქვეყნად –  
პატარა ვაჟვაცს, წონით სამ კილოს –  
დედ-მამის იმედს და იმედს ხვალის!

გვედგას ქართველნო თვითეულ ჩვენგანს,  
გარე ხუთჯერაც ყვავილნარში ასეთი ეტლი!  
გვწყალობდეს ღმერთი!  
ვამრავლოთ ჩვენი სათაყვანო  
პატარა ერი!

## დარიგება

დედას ორთავ თვალისჩინო,  
ჩემო ციცქინა ქალიშვილო,  
გაიზარდე, დაქალდი,  
სულით ცამდე ამაღლდი!

სიყვარული, სიკეთე,  
შენს მტერსა თუ მოკეთეს,  
თანაბრად უზიარე,  
აგრემც შემოგიარე!

## ნლები გარბიან

წლები გარბიან...  
მიდის ცხოვრება...  
და ჩემს სათვალეს ეცვლება თერი  
ატმის ყვავილთა ფურცლისფრიდან –  
– მერცხლის ფერამდე.

## ნუნია

ეძინება ნათიას –  
ჩემს საყვარელ პაწიას,  
ლამაზ სიზმრებს ვუსურვებ,  
ია-იებს რომ კრეფდეს;

ვარდისფერი ღრუბლებით  
ზეცა თავს დანათოდეს!

ეძინება ნათიას,  
ჩემს საყვარელ პაწიას,  
ნანა, შვილო, ნანები,  
შენ კი გენაცვალები.

## ძილისპირული

მოგითრინდნენ ფერიები,  
სიზმრის ფერიები.

გაგიტაცეს ვარსკვლევეთში –  
მნათობთ საუფლობში.

მზის საწოლზე მოგასვენეს  
დაგარწიეს ნაბად,  
ვარდისფერი ღრუბლის ქულა  
დაგახურეს საბნად;

და გიმღერეს ნათუკელა  
ნანა, ნანი-ნანა.

## სახლობანას თამაში

ჩვენი ცხოვრება თამაშია,  
სახლობანას თამაში.  
ვითომ მე დედა ვარ, შენ – მამა,  
ეს ბავშვები კი ვითომ შვილები არიან!

ჩვენი ცხოვრება თამაშია,  
აბოლებული ბუხრის კვამლში გახვეული  
სახლობანას თამაში...

კვამლი თვალებს გვწვავს  
(როგორც ცხოვრება),  
მაგრამ ისე ვართ გატაცებულნი  
ამ თამაშით,  
რომ ვეღარც კი ვგრძნობთ უნებლიერდ,  
თვალთაგან ნადენ, ხან მწუხრის და ხანაც  
სიხარულის ტკბილ-მწარე ცრემლს!

გარეთ კი აუობს, ბუბუნებს ქარი,  
ცად აფრიალებს მარტის თოვლით  
აცრემლებულ ნუშის ყვავილებს.

ეს მერამდენე გაზათხულია?  
— გაგვთეთრებია სახლობანას თამაშში თმები!  
... მოგვიცავს სევდა და უცებ ვხვდებით,  
მოგვბებრებია ეს სახლობანა!

... თამაშიდან კი გასვლის უფლება  
სამწეხაროდ, აღარ გვაქვს დიდებს!

## გაზაფხული დილომაში

მარტის სითბოს დაეშურნენ  
მეტიჩარა კვირტები.  
დილის ნამის სარკეში  
გაკეცლუცდნენ ციცქნები.  
გადაიცვეს თოვლისფერი  
სადედოფლო კაბა და...  
იქცა ბაღში ნუშის ხე  
საყვავილე ლარნაკად.

## 0103 დადგა გაზაფხული

ისევ დადგა გაზაფხული...  
სიცივისგან დაზაფრულნი  
იის ბილიკს მივუყვებით,  
ხან აღმა და ხანაც დაღმა;  
თან ვიშორებთ ეკალ-ბარდებს,  
ჭირთა თმენა დიდად გვმართებს.  
აწ გარდასულ ზამთრის სევდა  
თმაში თოვლად დაივანებს...  
და ერთი წლით დავბერდებით.

1994 წლის ზამთრის  
სუსების დღე თბილისში

ან შესცივდესო ციცქენა პატარძალს,  
თექვსმეტი წლის რომ ან არის კერაც  
და საქართველოს მომავალს კი  
ატარებს მუცლით!

— ფიქრობს ოჯახი —  
... და ზურგით ააქვთ ტომრით შეშა  
მეცხრე სართულზე  
მოსიყვარულე ქმარ-მაზლსა და  
თავად დედამთილს.

1995 წლის გაზაფხულის პირი...

გამთლის დასასრულს,  
ვით ნაომარ ველზე ცხედრები,  
ისე მოჩანდა გზის პირებზე  
ქალაქთან ახლოს,  
ძირში წაჭრილი გულსაკლავად  
ნეკერჩხლის, რცხილას,  
ფიჭვისა და ნაძვის ხეები.

\* \* \*

წარმოსადეგი,  
მხედა, ბრგე, ლომგული...  
ტოლს რომ უდებდა ნოსტელ ფალავანთ,  
ჩია მოხუცად  
გადაქცეული –  
მზეს ეფიცხება  
და თავის ფეხით  
ვეღარ მისულა  
ფეხის ალაგთან.

## მარტის სველი თოვლი

მარტის სველი თოვლით  
დანისლულა დღე...  
იისთერი ოცნებით  
ჰყვავის ნუშის ხე.  
ატალახდა ბილიკი,  
მოქუფრულა ცა...  
გაზაფხულის სურნელი  
მოაქვს ზენა ქარს.

\* \* \*

სუთსარქისის ქარი ქროდა  
თვალნი დაგვიშორიშორდა...  
ფიქრთა ქარი შენკენ რბოდა...  
თოვდა, ხვავრიელად თოვდა...

## მარტმა თავი გაიგიუა

მარტმა თავი გაიგიუა, თოვს...  
ქარი ღრუბლებს ერევება შორს...

მარტმა თავი გაიგიუა, წვიმს...  
თეთრი კაბა საპატარძლო  
ნუშს დაუგდო ძირს...

მარტმა თავი გაიგიუა  
ცისარტყელას თერებით,  
მოეფერა ნუშის ხეს  
გაწუწული ხელებით.

\* \* \*

მარტი ამინდს აურევს,  
ატეხს აურჩაურებს.  
აყვავებულ ალუბალს  
ფანტელებით დაბურავს.

უცემ გადიკისკისებს,  
იცინებს, ხან იტირებს.  
წყაროს აალიკლიკებს,  
მორწყავს ბაღის ბილიკებს.

\* \* \*

ამოუცნობი სევდა...  
ივლისისთერი დღე...  
დამჭკნარი ღიღილოები,  
რა მომქანცველი მზე!

გადავიღალე ალბათ,  
სიკვდილზე ფიქრი მძლევს.  
წლები მიქრიან სწრატად,  
დღენი მისდევენ დღეთ.

ამოუცნობი სევდა,  
ივლისისთერი დღე!

\* \* \*

წლები მიურნენ როგორც მერცხლები...  
ვგონებ ვბერდებით, – შევივერცხლენით!  
ისევ ფართხალებს გული ფეხებით,  
თუკი შემთხვევით საღმე შევხდებით.

მაგრამ... ერთმანეთს ვერ შევეხებით,  
რადგან ჩვენს შორის მინის კედელის  
ჩამსხვრევის არც ერთს არა გვაქვს ნება.  
ალბათ განგებამ ასე ინება!

ეჰ, ცხოვრებაში რა აღარ ხდება!!!  
მაგრამ ბავშვობის წრთელი განცდები  
არასდროს ქრება, არც გვავიწყდება –  
იმ სიყვარულით თავდავიწყება!

\* \* \*

აი, ზამთრის დასასრულიც...  
მალე მოვა გაზაფხული...  
ყოჩივარდა დამიმშვენებს  
პაწაწინა ლარნაკს.

მღერის გული დაზაფრული,  
მალე მოვა გაზაფხული,  
და მერცხლები მომიტანენ  
გულის სწორის ამბავს.

\* \* \*

თმაში ჩავიწნავ გვირილას,  
ტუჩბე წავისვამ წენგოს,  
შენს სახლთან ჩავიშრიალებ,  
ვაეჭვიანებ შენს ცოლს.

\* \* \*

წუხელ მესიზმრე...  
მივყვებოდით ჭალას ნელ-ნელა.  
მხარზე მაკოცე...  
ამითვრინდა თვალწინ პეპელა.

მერე, უეცრად  
დაუბერა მთით ზენა ქარმა,  
ცა დაიბურა და ჩამოჰკრა  
შორს, დედო ზარმა...

... გამომეღვიძა...  
ჩემს საწოლთან ჩათერთულილ სანთელს,  
ჩამქრალ ოცნებას,  
მთვარე ნაზად აფრქვევდა ნათელს...

\* \* \*

ყოჩივარდების პაწია კონა  
გამოპარული თითქოს სიზმრიდან,  
შემომანათებს კამკამა თვალებს,  
მივიწყებული ძველი წიგნიდან.  
შემორჩენია თითქოს სურნელი  
ზეცად აზიდულ დათოვლილ მთათა!  
ყოჩივარდების პაწია კონა...  
აი, სამხილი ჩვენს გულისთქმათა.

\* \* \*

ათი გაზაფხულის ათკერ დაზამთრება,  
რამდენი სიხარული და სევდა!  
ერთი სიცოცხლის ათ წელში გასამება  
ცოტა ხომ არ არის ნეტავ?  
ათი შემოდგომის ათკერ დაზამთრება –  
მომმატებს ფიქრსა და დარღს,  
გოგონებს ვასწავლო შვილების სიმრავლე,  
სამშობლოს სიყვარული ვაუს.

გთხოვთ, გამისენოთ  
ყოველ გაზაფხულს

მარადისობის ცისფერ ნისლად გარდასახული  
მარტის ფიტქებად გესტუმრებით

ყოველ გაზაფხულს!

– მზე ჩამოიხსნის ღრუბლის პირბადეს,  
ნუშის ყვავილზე არეკლილი თქვენი კისკისი  
ლაუვარდს გააპობს, გადაიკარებს,  
და მზისკენ გაწვდილ ხელისგულებზე  
მონატრების ცრემლად მაქცევს  
მარტის შუადღე.

\* \* \*

მე დაგიტოვებ  
ჟერ გაუშლელ  
ვარდის სამ კოკონს, –  
ვით გამართლებას ამქვეყანად  
ჩემი მოსვლისა.

მერე გავქრები, როგორც  
ნამი ყვავილებიდან  
და გავიყოლებ მონატრებას  
თქვენთან ყოფნისას...

\* \* \*

მზესუმზირების ციცქა მზეები  
ამიოქროსთრებს  
თართო აიგანს...

ტყვიისფერ ღრუბლებს  
გადარეკს ქარი...  
და ჩემს პარმალზე მზე პირს დაიგანს.

## ნუ მოჰვორილები ქონებას

ნუ მოჰვორილდები ქონებას...  
დაჲყევი უფლისა ნებას...  
თან არვინ არრას გაგვატანს,  
დარჩება მხოლოდ სახელი...  
შვილთაშვილს შეეგებება  
ჩვენი კეთილი საქმენი...

\* \* \*

რა საშინელი გრძნობაა ეჭვი,  
როდესაც იგი მოლოდინს ახლავს!  
ათასი ფიქრი დათვრინავს ირგვლივ,  
სულს გიცრიატებს და გულს გილახვრავს.  
უეცრად ჩნდება ციცქნა ნათელი,  
ეჭვს რომ გაფანტავს ორუბლის თთილებად  
და მოლოდინი ღამეულ ცაზე  
აკიაფდება მბრწყინავ ღილებად!

## ლილილო

ვეღარ გაუძლო  
ნაცრისფერი დღეების სევდას,  
ბროლის ლარნაკში  
დაჭვნა ღილილო!  
— მოწყენილ კედლებს  
შეალეწეთ მინის ბორკილი!  
თავისუფლებამ იქნებ უშველოს!..  
... ლაუვარდისფერი ნეტარება  
მინდვრის დედოფალს!!!

## ექსპრომატი ლია - დაიკოს

სიყვარულსა და სიუოცხლეს,  
ჩემს ცელქ, კუდრაჭა დაიკოს,  
სულ მუდამ სახე უცინის,  
თითქოს უღრუბლო ცა იყოს...  
ხანდახან აწიოკდება,  
გვაზრაზებს-ცოტა არიყოს  
და საჩვენებელ თითს გვიქნევს,  
და-ძმას, დედას და მამიკოს...  
მერე კი აკისკისდება –  
გაგეხუმრეთო, რა იყო!  
ჩაგვკოცნის ყველას კისკისით,  
ჩემი ლამაზი დაიკო...

## 3060რას

ხომ მიტირებთო გოგოებო? გვეკითხებოდი,  
და მარც თვალებში ცრემლი გიკრთოდა.  
შენ მარტოდმარტო ცხოვრობდი და  
დაგვქოთქოთებდი,  
ყველა ჩვენგანის დარღი დაგქონდა.

შენი ოცნების გყავდა შიოლა,  
და მასზე ფიქრებს კრავდი ლექსებად.  
ყველა ჩვენგანის რჩეულს სწუნობდი,  
რადგან არ თვლიდი მათ ჩვენს ღირსებად.

... ისეთ ეპითეტს მოუგონებდი,  
ცუდად ვხდებოდით სიცილისაგან.  
გემშვიდობებით გოგოები, ჩვენო ვენერა!  
შენი კისკისი გვახსენდება, დაგტირით ყველა!

მინდვრის ყვავილებს გულზე გაყრით,  
ვიღვრებით ცრემლად;  
ო, ნეტავ ერთი წამოგახედა!..

## 31 რევის ყვითელი ფოთოლი

ცრიატი დღეა ნოემბრის.

მგონია კიდევ თოვს...

ვერხვის ყვითელი თვოთოლი

შემორჩენია ტოტს...

გნატონბ, დაგეძებ, მოგელი...

ცრემლს ღვრის მწუხარე ცა,

ოცნების თეთრი ათვრებით

შენკენ მოვყავან ქარს.

მიწურულია ნოემბრის,

თოვს სველი თოვლი, თოვს...

ვერხვის ყვითელი თვოთოლი

ქარს გაჰყოლია შორს...

## ყაყაჩო

ნიავქარს შეჰყვარებია  
მინდვრად წითელი ყაყაჩო.  
გულისპირს ხალებს უკოცნის,  
ლამის ალერსით დაახრჩოს.

\* \* \*

თეთრი თოლია  
აქაფებულ ტალღას ემთხვევა,  
ნაამზორები მოაწყდება  
ნაპირს დგათუნით.

მოგვენატრება ზღვის ლივლივით  
თავზრუდახვევა...  
ნამზეურ სხეულს გავიგრილებთ  
ნაზი ზღვაურით.

## მარტინ იშვილი

ტუჩმოტეხილი  
ღვინიან დოქით,  
მუდამ ყველასთვის  
სიკეთის მდომი,  
— მამა ბატონი  
მარნიდან მოდის!  
გებერი ლომი  
აბიჯებს დინჯად...  
მოხუცი დედა  
ხელის კანკალით  
შვილიშვილისთვის  
გოგლი-მოგლს თქვეფავს...  
გიორგობისთვის მიწურულია.  
გიზგიზებს რცხილა...  
ეს ებო-კარი მამა-პაპური  
ო, როგორ მიყვარს.

## ტიროლა ვაზი

თვალი შევასწან მერცხლების გუნდს  
ტაძრის სარკმლიდან.

ეს წელიწადიც წარსულად იქცა...  
უცემ აგრილდა.

მამა მიქაელ აღავლენდა  
მიმწუხრის ლოცვას...  
უეცრად, ფიქრი ბავშვობისკენ  
გადამითვრინდა...

... ცისფრად შეღებილ აივნის კუთხეს  
როგორ შვენოდა მერცხლების ბუდე!  
აფრთიანებდნენ ჭიკვით ბარტყებს,  
გადაფრენის დროც დგებოდა მალე.

დეკემბრის სუსხი მოჰყვებოდა  
ნოემბრის ქარებს.  
თოვლი და თოვლი  
გვახარებდა ძლიერ პატარებს.

მალე ენძელაც  
გაახელდა კამკამა თვალებს.  
ლილო-ჭრილოზე  
ვკრეფდით იებს და ყოჩივარდებს.

აივანს ვრთავდით თაიგულებით.  
სტუმრებს ველოდით  
ციცქა გულებით.

იყო ყიუინა, ბავშვური, ლაღი.  
უბრუნდებოდნენ მერცხლები ბუდეს!  
პაპის გასხლული ტიროდა ვაჩი...  
– გარდასულ დღეებს რა დააბრუნებს!..

## უძილობისას

უძილობისას ვუდარაკებ  
შენს ლამაზ სიზმრებს,  
ფიქრად ღალატი  
ინებო იქნებ?!  
შენი სიზმრების ლაპირინთებში  
ჩავიძირები  
უძილობისას...  
ფიქრად ღალატსაც  
ვერ გაპატიებ!  
მე ვუდარაკებ  
შენს ლამაზ სიზმრებს  
უძილობისას.

## სიმღერა

აყვავებულ ჭერამს  
ქარი გადათელავს,  
ყვავილების თოვლით  
იპენტება მოლი.

წვიმის წვეთი ციცქნა –  
მზემ ააციმციმა.  
ველად წითელ ყაყაჩოს  
ცისარტყელა დარაჯობს.

ჩიტუნები მღერიან,  
მოუთმენლად ელიან  
გაზაფხულის ფერებით  
როდის მომეფერები.

ცაა ისე კრიალა,  
სიყვარული კი არა,  
რაღაც უფრო წმინდა  
ამითროთოლებს სულს.

ცისარტყელას რკალზე,  
შენთან ერთად კარგო  
სეირნობა მსურს!

## აღმართ-დაღმართი

რამდენი აღმართი,  
რამდენი დაღმართი,  
რამდენი მართალი  
რამდენი წარმართი!  
რამდენი სითბო და  
რამდენი სიცივე!  
რამდენი ვიცინეთ,  
რამდენი ვიტირეთ!  
შვილები ვაჩინეთ,  
ვზარდეთ და ვარჩინეთ!  
რამდენი ვითხიბლეთ,  
რამდენი ვიძინეთ!  
რამდენი მარტი და  
რამდენი მაისი!  
ყოველი აისი  
მთავრდება დაისით!

მზეს შემოდგომისას  
ვუმღერებთ სიმღერებს!  
სიამით შევხვდებით  
კანს მომდგარ სიბერეს!  
წყალობა უფლისა  
აროდეს გვკლებოდეს,  
მშობლები გვახსოვდეს,  
შვილთათვის ვკვდებოდეთ.

\* \* \*

ცუდ სიზმრებიდან გამოთხიზლებულს,  
გულში ვიხუტებ ატირებულ  
პატარა გოგოს...  
და კოცნით ვუშრობ  
აცრემლებულ შიშჩამდგარ თვალებს.  
... ჩვენი ცხოვრებაც სიზმარია,  
ხან მზისთვერი,  
ხანაც სავსე  
ბნელ ურჩხულებით,  
თან ისე მოკლე –  
ვეღარ ვასწრებთ გამოთხიზლებას –  
მივექანებით საუკუნო სასუფევლისკენ.  
  
ვინ დაგვიხუჭავს შორეთისკენ  
მიშტერებულ გაყინულ თვალებს?!.

\* \* \*

ვკრეფილით გომბორჩე  
კვრინჩხსა და კუნელს...

რა დამავიწყებს  
იმ ხილის სურნელს...

ხმელი ფოთლების  
ვისმენდით შრიალს...

და ყველა დარცი  
მიჰელნდა ნიავს.

\* \* \*

ვალიხალია ყოფილა  
ამქვეყნიური სოფელი –  
როგორც მიუთვლი, ისევე,  
შენც მოგეთვლება ყოველი.

\* \* \*

ყოჩივარდების თაიგულს  
აღარავისგან მოველი...  
მხოლოდ სიზმრადღა მოთვრინავს  
ოცნების ლურჯი ფრინველი.

თოვს, თებერვლის დღე ფითრდება  
გაცრეცილ ფრთათეთრ ნისლებით...  
გარდასულ ჩამთარს მიჰყვება  
აუხდენელი სიზმრები...

## პატარა ნათისა დედას რომ არ აძინებდა ლაშით

გამოიცანთ გამოცანა:  
პატარა და ცუნცულა,  
ღამით წიწაკის გალაა,  
დღისით – ბალის კუნწულა.

## შინაბერას

თუ ალ გჩუქენიან იის კონებს,  
იყიდე თავად!  
და თუ სარკეში აღმოაჩენ  
ნაოჭებს ახალს...  
თმები, ტუჩები შეიღებე,  
ნუ დაღონდები...  
და გაიხსენე ვარდისფერი  
გავშვობის დღენი.  
მერე კი – ნაზად გაუღიმე  
სარკის ანარეკლს,  
და დამერწმუნე, სევდის ღრუბელს  
უმალ გადარეკ.

## კაქტუსის ხველი

ეკლიან კაქტუსს ნეტავ ვით ძალუძს  
ასე სრულქმნილად აქათქათება?  
ნარ-ნარ ყვავილს რად სწირავს სიცოცხლეს,  
მახინჯ სხეულის ანათლეთებად?!  
თავად უსახერს, ეკლიანს, საზარს,  
ეს სინატიფე საიდან ახლავს?  
თუ ერთხელ შენაც, გარგუნა ზენამ,  
აყვავებული კაქტუსის ხვედრი;  
ჩათვალე მაშინ, კარგო, ამქვეყნად  
დაბადებულხარ სვებედნიერი!!!

## ეს ბავშვობა შორიული

ჩემი თეძამი და კალობანი,  
ბოლდაცვიაანთ სასახლის განი...  
... და ნიაბურუ ბუერებით გადაბურული...  
რიყის ლოდებით საბანაოდ დაგუბებული...

იქვე, ჭალაში ჭის ცივი წყალი,  
ცეცხლზე შემწვარი ნედლი ტარო,  
                                მწიფე მაყვალი;

დაკიდულ ხიდზე ქანაობა – ფეხის კანკალით,  
ცეცხლოვან თვალთა შემოხედვით –  
                                გულის ფანცქალი.

გარიყულაზე სეირნობას ღიდ რამედ  
                                ვთვლიდით!  
საღამოს, კლუბში გადიოდა ინდური ფილმი...

ეს ბავშვობაა, შორეული, ჩემიც და შენიც,  
-ყველა თაობის, ურუოლისა და  
                                ცრემლის მომგვრელი!..

\* \* \*

არ გძულდეს, გიყვარდეს,  
მოძულეც, მოყვარეც!  
აკეთე სიკეთე!  
ამაზე უკეთესს  
ვერც მტერს, ვერც მოკეთეს  
ვერნას გაუკეთებ!

\* \* \*

თვალყურს ვადევნებ  
ტელე დებატებს...  
– მიჯობს ვმწყემსავდე  
იხვებს და ბატებს.

## ანბანური ჰეშმარიტაბა

გან, ინ, ყალ, ვინ, ან, რაე, დონ, ენ, სან, ონ  
ქალ, ან, რაე, თან, ვინ, ენ, ლას, ონ,  
სან, ან, მან, შინ, ონ, ბან, ლას, ონ –  
სან, ან, ქალ, ან, რაე, თან, ვინ, ენ, ლას, ონ!  
გიყვარდესო  
ქართველო,  
სამშობლო –  
საქართველო!

\* \* \*

არ ამაღლდა გული ჩემი;  
დავიმდაბლე თავი ჩემი.  
სიმდაბლითა შინა ჩემსა  
მომიხსენა ჩვენ უფალმან...

მოცისფრო – მოვარდისფრო  
თათრი ლექსი  
ცისფრა ვარანის გასვენო

ვრთავ ტელევიზორს:

ცისფრენ ეკრანზე

პატარა ბიჭი

ძმაკაცის დედას

გავაჩე ვნებით

ხელს უთათუნებს...

ვაუს ყურის ძირთან

ცალ საყურის ქვეშ

(თვუ, ვითომ ვაუ),

ენითა ლოშნის.

გოგონა

თავის საყვარელ დაქალს

თეთრ, ათქვირებულ

გულ-მკერდზე კოცნის.

ამ ყოველივეს

„ ფინთ გომივით“

მივშტერებივარ.

შემიპყრობს სევდა

და ვთიქმობ ჩემთვის:

ო, ღმერთო ჩემო,  
ეს სიბილწე საიდან მოდის?  
რას ნიშნავს ნეტავ?  
თანამედროვე თვალთახედვას?  
ევოლუციას?  
თუ საუკუნის სექსუალურ  
რევოლუციას?  
... კრწანისიდან კი  
ჭაბუკ მებრძოლთა  
დაღვრილი სისხლი  
ამოჰყივლებს „თინეიჯერებს“:  
შეჩერდით ხალხნო,  
საით მიდიხართ?  
„ვოლექმენებით“ და  
„ნაუშნიკებით“  
დახშულ ყურებში  
აბა, როგორ გაიგონებენ  
მიწის სიღრმიდან  
ამოსულ ძახილს?!

\* \* \*

ხვალინდელ დღეზე ვდარღობ!  
რით მოგილოცო კარგო  
ეს დაბადების დღე?!  
გაჩუქებ ფერმკრთალ იებს.  
გეტყვი – მიყვარხარ ძლიერ,  
ზამრთლის ამ ლამაზ დღეს...

\* \* \*

აოქროსთვრებდა  
მეწამულ ზეცას  
ჩამავალი მზე  
კალობნის თავზე...  
თრიალეთის ტყის  
ყვებოდა ბლაპარს  
თეძმის ჩხრიალი  
სევდიან ხმაზე...

\* \* \*

რა დონ გასულა?! შვილები  
მშობლებად გადავქცეულვართ.  
ჩვენი მშობლები პაპებად  
და ბებიებად ქცეულან!  
მიუყვებიან  
გზას საიქაო  
სამყოფელისკენ,  
ჩვენი ბავშვობის  
ჭირისუთალნი,  
თანდათანობით!  
ზოგი – რიგით,  
ზოგიც – ურიგოდ.  
და ჩუმი ცრემლით  
მივაცილებთ  
კიდევ ერთ მათგანს...  
ნოემბრის ქარში  
პროცესიას  
მივყვებით უხმოდ...

## ახალქალაქის ზაფხული

ახალქალაქის ზაფხული,  
თეძმის ჭალები, ტყეები...  
გართობა წრევადასული...  
ნაცნობი ორლობეები...

ივლისის საღამოები,  
თუთის ხეებში ჰამაკი,  
ცივი – კამეჩის მაწონი  
და გაბაანთ რუს რაკრაკი.

გარიყულაზე ჩვეული  
ჭორები ახალ-ახალი...  
ტოლებში – ჩვენი რჩეული  
და ბებიების თვალთვალი.

კალობნის თავზე მზე ჩაღის...  
შეწითლებულან ღრუბლები..  
გავშვობის იმ ლამაზ დღეებს  
ვერასდროს დავუზრუნდებით...

## ცრემლით...

ცრემლით მოვსულვართ ამქეეყნად,  
– ცრემლითვე განგვიკითხავენ!  
ნებით არ მოველთ – იმქვეყნად  
წასვლასაც არა გვკითხავენ!

## „სიილი“

თასღაკლება... „სეილია“...  
ნამუსს ჰყიდის ყოველი...  
გამყიდველი მრავალია,  
მაგრამ არ ჩანს მყიდველი...

## 0163რის სუსხი

იანვრის სუსხი,  
ბუბლის ალები...  
შავი ღვინო და  
გიშრის თვალები...  
მოგპარავ კოცნას  
და ნამთვრალევი  
შენს ლამაზ თვალებს დავემალები.

\* \* \*

თოლიების თეთრი გუნდი  
შესევია მტკვარს...  
ვერ უძლებენ თბილისურ ხვატს  
და წყურვილი ჰკლავთ...

## მარტოობა

მე მარტოობის კუნძულზე ვცხოვრობ  
და ველოდები შორეულ სტუმარს...  
თუკი მოვიდა,  
ალბათ მომართმევს  
მინდვრის ყვავილთა ლამაზ თაიგულს  
და ღიმილს ისეთ თბილსა და ნაცნობს,  
რომ გავოცდები!  
ო, ღმერთო ჩემო,  
როგორ ვცხოვრობდი ნეტავი დღემდე,  
უამღიმილოდ, უალერსოდ, უსიყვარულოდ?!  
მე მარტოობის კუნძულზე ვცხოვრობ  
და ყოველ ღამე ვკითხეულობ მარკეს!  
მე ველოდები შორეულ სტუმარს...  
და არასოდეს არ ვკეტავ კარებს...  
... საკითხავია, მოვა კი ვინმე?!

\* \* \*

ბროწეულის ყვავილის ალისტერი ცეცხლით  
შენ რომ კოცნა მაჩუქე ლოყა ეხლაც მეწვის...  
ისევ გაზაფხულია... გაფრენილან წლები...  
არათერი შეცვლილა – არც  
ჭიკვიკი მერცხლის...  
მხოლოდ თმაში ჩავღვრილა  
ელვარება ვერცხლის...

\* \* \*

უკან დარჩა გამთარი,  
როგორც თეთრი ათეთარი...  
ბუჩქის ძირას ენძელას  
უმზეობა ეძნელა...  
გალობს ჩიტი მზეწვია,  
გაზაფხული გვეწვია...

\* \* \*

ჩემო თოლია...  
თებერვლის თოვლში  
ენძელებად მიმოფანტულ  
შენზე ფიქრებს  
შევკრავ კონებად...  
მაღალ თაროზე შემოვაწყობ  
მივიწყებულ წიგნების გვერდით.  
მერე სონეტებს მოვაშორებ  
შარშანდელ მტვერს სულის შებერვით...  
და მოუთმენლად, გაზაფხულის  
მობრძანებას დაველოდები!..

## გზა

ზოგს შარა ხვდა სავალად...  
მავანს – ვიწრო ბილიკი!  
„მაუწყე მე უფალო  
გზაი, რომელს ვიდოდი“!

ვის გზას ვარდი ჰთენია,  
ვისას – ეკალ-ბარდები...  
ვის გზას ადგას წყვდიადი,  
ვისას – შარავანდედი!

უბიწონი გზასა ვლენ  
– სჯულსა უფლისასა,  
ბილწნი გზასა ადგანან  
– ბელბებელისასა!

## გიორგობისთვე

წუხელ ქარიშხალს დედის საფლავზე  
წაუქცევია ბებერი ფიჭვი...  
ღუმელთანა თვლემს მოხუცი მამა  
და სუნთქვა უჭირს...

გიორგობისთვის ბოლო დღეა,  
აღარ ჰქონის ქარი...  
შორეთისაკენ გაშტერებია  
ჩემს მამას თვალი...

„ქრისტესო დიდო მოწამეო გიორგი  
ევედრე ქრისტესა ღმერთსა  
შეწყალებად სულთა ჩვენთათვის“.

## გელოდი

მთელი ცხოვრება  
გელოდი!  
და მოლოდინის  
მე ლოდი

გულიდან რომ გავაგორე!  
შენ სწორედ მაშინ მოხვედი!

მე ნუღარ  
და მე ლოდები,  
ნამსხვრევ-ნამტვრევი  
ლოდების

ახლა მიდი და აგროვე,  
თან გულიც გადააყოლე...

\* \* \*

ბროლის სარკის ანარეკლზე,  
მთვარის შუქის ნათელით  
ცისარტყელას ფერებს მჩუქნის  
თოვლის თეთრი ფანტელი...

ნარინჯისფერს მზისფერი ცვლის,  
წითელს-მდელოს ფერები...  
მეფერება ცივი ღამე  
გაზაფხულის ფერებით!

\* \* \*

ატირებულან ვაზის რტოები...  
ცაბე ელვაა... ჭექა-ქუხილი...  
ჩემი სხეული სავსეა შენით...  
და მდის ცრემლებად შენზე წუხილი...

\* \* \*

დამღალა რია-რიამა...  
ამ სოფლის ორომტრიალმა...  
ცოლ-დედობამ და რძლობამა,  
ყოველდღიურმა ყოფამა...  
როგორ მაკლიხარ დედაო!  
შენს ლამაზ თვალებს, თბილ ხელებს  
მხოლოდ სიზმრადლა ვხედავო...  
მლოცავ, მამხნევებ – „გაუძელ,  
შენ გენაცვალოს დედაო!“

\* \* \*

დაცარიელებულა ეზო ჩემი  
მშობლიური სახლის...  
სარკმელთან აღარ მელის დედა...  
კიბეზე აღარა თვლემს ძალლი...

თებერვალია, ცრემლს ღვრის ხეივნის  
გაუსხლავი ვაზი.  
ირგვლივ სიჩუმეა... მხოლოდ, ჭრიალებს  
მარნის კარი...

მოჩანს საწნახელზე ობლად,  
ძმის ხელშენავლები დოქი...  
გული ვეღარ იტევს სევდას...  
გაზაფხული კი, მოდის...

\* \* \*

ორმოცი დღე გელიან გადაშლილი წიგნები...  
ნეტავ საით წახვედი, რომ აღარა ბრუნდები?!  
დების ცრემლით სველდება  
შენი შესამოსელი...  
ერთი წუთი ყოფილა  
მართლაც წუთისოფელი...

\* \* \*

იანვრის ცივი, ჩუმი დილა...  
ცის ლაუვარდი კი – ისე კრიალა,  
რომ კარგად ვარჩევ საიქაოს  
საყვარელ ლანდებს...  
და მივიჩქარი უფლის სახლისკენ,  
მათკენ სავალი ძნელი გზა რომ  
გავიადვილო.

\* \* \*

გარეთ სუსხია, სიცივე...  
ძველ მოგონებებს ათოვს...  
თეძმის ჭალებში დაკრეთილ  
გვირილებს აღარ ახსოვთ:  
უყვარვარ კიდევ, თუ-არა!...  
ბუხარში რცხილა გიზგიზებს,  
გარეთ თოვლია, სიცივე...  
ძველ მოგონებებს ვივიწყებ  
და ჩალად ქცეულ გვირილებს  
ცეცხლს მივცემ, ავაგიზგიზებ...

\* \* \*

ქართული ენის კიდობანიდან  
გაამზეურე სიტყვა რამდენი...  
ამდენ სინონიმს, მრავალფეროვანს  
სად მიაგენი?  
— გადმოაენე როდესაც რაბლე...  
ქართულ თარგმანის მებაირახტრევ?!

## შუალამეა პარიზში...

შუალამეა პარიზში...  
სიყვარულის ქალაქს ათოვს...  
ჩემი ლამაზი დობილის  
თვალებში სევდა სახლობს...  
დარდი აქვს მხოლოდ მობილის,  
პირადი სულ არ ახსოვს...  
შორიდან უმზენს „სექს-შოთს“  
და თვალის ირგვლივ ხაზებს  
უფრო ჩაუღრძმავებს სევდა...  
პირმშვენიერო ასულო,  
გთხოვ, გაუფრთხილდი დედას...

\* \* \*

ვარდისფერად მოთოვს  
ალბათ, ამაღამ...  
მარტი დღეებს ესესხება აპრილს...  
ქარი ღრუბლებს გადარეკავს მთებგაღმა,  
შეყვარებულ ჭერამს ჰატივს აპურის...

\* \* \*

წინწკლებიანი სარატნით  
ამაღამ ავყვები არაგვს...  
ცურვაში გავეჯიბრები  
წითელ ფორეჯიან კალმახს...

ალიონს შევევებებით  
შავი არაგვის ტალღებში...  
მე და წითელი კალმახი  
დავიხრჩობთ თავს შენს მკლავებში...

\* \* \*

ჩემი ტკივილი და სევდა...  
ფრთამოტეხილი გედი...  
მოგიშუშდება ფრთები...  
ფრენას ისევ შესძლებ, დედი...

\* \* \*

„პლეხანოვზე“, მაგნოლიას  
გაეშალა ტოტები...  
წვიმდა... წვიმდა... გოგონები  
გამორბოდნენ ბოტებით...  
მაგნოლიის ლამაზ ტოტებს  
შეეფარნენ სიცილით...  
„აითონზე“ „ესემესებს“  
კითხულობდნენ კისკისით...  
P. S. მაგნოლიის ფოთლებზე –  
(„აითონზე“ კი არა),  
წინანდალის ბალში –  
(„პლეხანოვზე“ კი არა),  
საუკუნის წინათაც  
(დღეს და გუშინ კი არა),  
„ესემესებს“ უგზავნიდნენ  
ჭავჭავაძე ნინასაც...

## პატარა ლევანს

მამა-პაპათა სისხლის  
გენეტიკური კოდი  
პატარა ბიჭის ძალვებში  
გუგუნებს, მიღი-მოღის...  
ადენინი – გუანინი –  
ციტოზინი – თიმინი –  
ადენინი – გუანინი –  
ციტოზინი – თიმინი...

## ელისაბედი

მე ვერ მოვესწრები ალბათ,  
ლამაზ თვალთა კრთომით როცა,  
დაჰკოდ ვაუკაცების გულებს  
და ვერ შეგბედავენ კოცნას...

თეძმის ხეობის ჭინკებით  
რომ აგევსება თვალები...  
სისხლს აუჩქროლებ სწორთვერებს  
ღიმილით-ამორძალების...

## მღვიმების მონასტერი

ამ ციცაბო კლდის კარსტულ მღვიმეში  
შეხიზული უფლის განგებით...  
დაფართატებენ გაცრეცილნი,  
გაფითრებულნი...  
და ლოცულობენ ცისკარიდან-ცისაკარამდე  
მუხლთა მოდრეკით –  
მისატევებელად ცოდვათა  
ადამის მოდგმის...  
„მოგვი-ხსე-ნე ჩვე-ენ უფა-ლო-ო,  
ოდეს მოხვიდე-ე სუ-ფე – ვითა შე-ნი-თა“...



## თარგმანები

\* \* \*

შენ მითხარი, რომ საადი  
მხოლოდ მკერდზე გვოცნიდა,  
მეც ვისწავლი, თუ ღმერთი გწამს,  
რა შავდება მოცდითა!  
წაიმღერე: ევფრატს გაღმა  
გაღნარია ვარდების.  
მდიდარი რომ ვიყო, ალბათ  
გატკბობდი სხვა ჰანგებით.  
დაგიკრეთდი ლამაზ ვარდებს,  
სხვა სიამე რად მინდა, –  
შაგანებე უკეთესი  
არსად იყოს არვინა.  
ნუ მაწვალებ მაგ აღთქმებით,  
მორჩი მიეთ-მოეთებს... ჰოეტი  
ვარ და ჩაგვოცნი,  
ვით შეჰვერით ჰოეტებს.

ესენინი

\* \* \*

ცისფერი კოფთა, ლურჯი თვალები.  
არარა მითქვამს გასამართლები.

რა გაუძლებს ნეტავ ქარბუქსა და ლოდინს?  
თქვა: „დავანთებ ღუმელს,  
და გაგიშლი ლოგინს“.

ვუპასუხე სატროოს: „ამ ქათქათა ციდან  
სიყვარულის თეთრი ყვავილები ცვივა.

გაახურე ცეცხლი და მიხედე საწოლს,  
უშენობით გულში ქარბუქია, მათოვს.“

ესენინი

\* \* \*

ცისფერ საღამოს, მთვარიან ღამეს,  
ოდეს მამკობლა მეც სილამაზე.

დაუოკებლად, დაუბრუნებლად,  
წლები გაფრინდნენ... შორეთში... ჩემგან...

გაცივდა გული, გახუნდა მზერა...  
მთვარიან ღამის ნაზი სიმღერა.

ესენინი

\* \* \*

ქარბუქია ისეთი ღმერთმა დალახვროს!  
თითქოს ყინვის თეთრ ლურსმნებს  
სახურავს ასობს.  
მე კი არა ვშიშობ, რადგან ბედისწერამ  
თავაწყვეტილ ვნებით შენს გულს მიმაკერა.  
ესენინი

## შოთხვი

შოთხვი სურნელოვანი  
ადრიანად აყვავდა,  
ყვავილები რტოებზე  
კულულებად დახვავდა.

ქერქები ირგვლივ მიცოცავს  
ცვალ-ნამი თათვლოვანი,  
ცვალქვეშ ვერცხლად ელვარებს  
ყლორტი სურნელოვანი.

იქვე, ლილო-ჭრილოზე  
ფესვებ შორის ნარნარად,  
მორაკრაკებს, გამორბის  
ნაკადული პატარა.

და დგას ტოტებგაშლილი  
შოთხვი სურნელოვანი,  
მზეზე იწვის ოქროსფრად  
სინორჩე მწვანოვანი.

ნაკადულის ჩხრიალი  
რტოებს გარს რომ ევლება,  
შემპარავად უმღერის  
კბოდებე ნაზ სიმღერას.

ესენინი

## ՆՐԿՈԾ ԵՅ

Քեմս Սարկմելուան  
արպուս եցս  
զերկթելուստյերագ  
դատաղովս.

Դատուշ բժույթս  
դուռքյեթի  
նարնար մայմանս  
դապահոված.

Գցաս արպուս եց մոխրպանուտ,  
Տօջմունութիւն օդումալույթիւն,  
Դանքյելույթի ուշան  
ոյերուստյեր մեղրալույթիւն.

Ճանուարու ծոծոնուտ  
Ճարս մուշալուս որգալույթ եցս,  
Բժույթս դուռքյեթիւն դատորդյեզ  
Ճանախալույթի զերկթելուստյերս.

ԵՍԵՆԻՆ

\* \* \*

მშვიდობით კარგო, ნახვამდის.  
გეტლთოდი, ჩემად გსახავდი.  
ვძორდებით, სულმი ბინდდება  
ბედი შეხვედრას გვპირდება.

გემშვიდობები უსიტყვოდ,  
წარბს ნუ შეიხრი, ნუ დარდობ, –  
სიკვდილიცა და სიცოცხლეც  
არახალია უდავოდ.

ესენინი

\* \* \*

გვირილების გვირგვინებში  
წყლის ჰილს ვთლიდი ნავსა,  
უცებ სატროოს რგოლი ტალღის  
ქაფუში ჩამივარდა.

დედამთილივით ავია  
განშორების სევდა.  
წაიღო ქარიყლაპიამ  
რგოლი გულთან ერთად.

ბეჭედი ვეღარსად ვპოვე,  
კაცი ვიქეც დარღად,  
გზად მომძახოდა მდინარე  
„მას სხვა შეუყვარდა“!

ვერ გავერევი ამქარში,  
დამცინებენ ალბათა,  
დავქორწინები ავდარში –  
ჭორიკანა ტალღასთან.

ესენინი

\* \* \*

მარხილი მიჰერის, მარხილი მიჰერის,  
სატრთოზე ფიქრით ველებზე მივერი.

ცელქი ნიავი მიაწვარუნებს  
ჩალისთვე ცხენზე ეუვნებს, უღარუნებს.

შორს ნეკერჩხალი ეულად მდგარი  
როკავს და ცეკვავს ვითარცა მთვრალი.

ვითხავთ ამბავს როს მივეახლებით,  
ვიცეკვებთ სამნი თალმის თანხლებით.

ესენინი

\* \* \*

ახლაც მახსოვს ძვირთასო,  
შენი თმის ელვარება.  
განშორების წუთების  
სევდა და მღელვარება.

მახსოვს, რამ დამავიწყოს  
შემოდგომის ლამე,  
არყის ხეთა შრიალი  
და ქათქათა მთვარე.

მახსოვს, მეუბნეოდი:  
„მტრედისთერი წლები,  
ჩაივლიან, გამცვლი და  
სულ დაგავიწყდები...“

დღეს კი – ცაცხვის სურნელი  
კვლავ ამიშლის ვნებებს,  
ო, რა ნაზად გაბნევდი  
ყვავილს კულულებზე.

გული არა ცივდება,  
თუმც ახლა სხვას ვეტროი,  
სიყვარულის ზღაპარს კი –  
მხოლოდ შენ ერთს გეტყვი.

ესენინი

\* \* \*

შაგანე ჩემო, კარგო შაგანე!  
ჩრდილოეთიდან რაღვანაც ვარ მე,  
მინდა მოგიყვე ჭვავის ყანებზე,  
მღელვარე სვილს ვით დაათოვს მთვარე.  
შაგანე ჩემო, კარგო შაგანე!

ჩრდილოეთიდან რაღვანაც ვარ მე,  
იქ ასჯერ უფრო სავსეა მთვარე.  
თუმც ლამაზია შირაზის ღამე,  
ვერა სჯობია რიაზნის მხარეს.  
ჩრდილოეთიდან რაღვანაც ვარ მე.

მინდა მოგიყვე ჭვავის ყანებზე.  
ეს ღეროები ძვიროვასო სვილის,  
თუგინდ თითებში ამომიყარე –  
სულ მცირედაც კი ვერ ვიგრძნობ ტკივილს.  
მინდა მოგიყვე ჭვავის ყანებზე.

მღელვარე სვილს ვით დაათოვს მთვარე,  
ამ კულულებით ყველა მიხვდება.  
გთხოვ, გამიღიმო, როგორ გიხდება,  
ნუ გამახსენებ ოღონდ იმ მხარეს,  
მღელვარე სვილს ვით დაათოვს მთვარე.  
შაგანე ჩემო, კარგო შაგანე!

იქ, ჩრდილოეთში ერთი გოგონა  
ო, რა საოცრად შენ მიგამგვანე.  
მას იქნებ შენზე ფიქრი ახარებს...  
შაგანე ჩემო, კარგო შაგანე!

ესენინი

\* \* \*

„ასე მქრქალად რად ანათებს მთვარე  
ხორასანის კედლებსა და ბალებს?  
ფეხქვეშა ვთელ თითქოს რუსულ ველებს,  
ქარი არხევს ნისლის კრეტსაბმელებს“.

— ასე ვვითხე მე ძვირთასო ლალა,  
კიპარისთა დადუმებულ ლაშქარს.  
ხეთ ამაყად ცად აღაპყრეს რტონი,  
რა ამაოდ ვირჯებოდი თხოვნით.

„ასე მქრქალად რად ანათებს მთვარე?“ —  
შევეკითხე ყვავილების წყნარ ტევრს.  
მიპასუხეს მათ: „ვარდის მწეხარე  
შარიშურით მიხვდები ყველაფერს“.

ვარდმა ცის ნამი შემომაშეეთა,  
ფურცელთ შრიალით და მომაგება:  
„შაგანე სხვასთან ტკბება ყოფნითა,  
შენი შაგანე სხვასა ჰკოცნიდა“

და თან ამბობდა: „თითქოსდა რუსი...  
ვერ შეამჩნევსო სიმღერას გულის“...  
ამიტომ ასე სევდის მთვარედ  
და ასე მქრქალად ანათებს მთვარე.

ღალატი მახსოვს საკმაოდ ბევრის,  
სხვასაც რგებია ტანკვა და ცრემლი.  
მაინც ღამენი იასამნისტვრის,  
ღვთითვურთხეული იყოს ყოველთვის.

ესენინ

\* \* \*

ოქროსფერ ჭვნობით გარემოცული  
აღარ მივტირი ჩემს სიყმაწვილეს!  
ვაშლის ბალიდან ვით ყვავილთ კვამლი,  
ისე გაქრება, ისე გაირჩენს.

ვერ აძგერდები ისე, ვით ძველად,  
გაციებულხარ, გულო, ტიალო,  
ვერ გამიტყუებს არყის ტყე ველად,  
მე ფეხშიშველად სახეტიალოდ.

იშვიათადლა ააგიზგიზებ  
სულო მშთოთვარევ, ცეცხლოვან ბაგეს!  
ო, ჩაცხრა ჩემი დილის სინედლე,  
გრძნობათ მორევი, თვალთა სიშმაგე.

მე გულისთქმასაც ვამხელ მომჭირნედ,  
ეს ცხოვრებაა? თუ დამესიჩმრე?  
თითქოს ბუბუნა გაბათხულის დღე  
ვარდისფერ ცხენით ჩამოვიქროლე.

და სპილენძისფერს ღვრის ნეკერჩხალი...  
ქვეყნად ყოველნი წარმავალნი ვართ.  
აყვავილების შემდეგ, სიკვდილი  
რადგან წილად გვხვდა, კურთხეულიყავ!

ესენინი

\* \* \*

ო, როგორ ვწეხვარ და მებრალები,  
გიმზენ და მიპყრობს სევდა, ტკივილი!  
სპილენძისთვერი ენკენისთველა  
შემოგვრჩა მხოლოდ, ტირის ტირითვი.

შენი სხეულის სითბოს და თრთოლვას  
თან წარიტაცებს უცხოთ ამბორი.  
ო, ეს იქნება თქეში და ქროლვა  
და მომაკვდავი სულის ამბოხი.

რა ვუყოთ მერე! არ მეშინია,  
სხვაგვარ სიხარულს ავხადე ფარდა.  
აღარათვერი არ დამრჩენია,  
მე მოყვითალო ბალღამის გარდა.

საკუთარ თავიც, უარყოფილი,  
სიმშვიდისათვის ვერ გავიმეტე.  
ო, ასე მოკლე წუთისოთველი  
ამდენ შეცდომას როგორ დაიტევს.

სასაცილოა ეს მწუხარება.  
ასე იყო და ასეც იქნება.  
ვით სასაფლაო, არყის ხის გაღი  
ჩვენი ძვლებითაც მოიტინება.

განვლიან წლები, დავიყვავილებთ,  
მივჩუმდებით, ვით გაღის სტუმრები...  
რადგან ზამთარში ტურთა ყვავილებს  
ვერ ვნახავთ, მათზე ნულარც ვწუხდებით.

ესენინი

\* \* \*

ცხოვრება – ცრუა გრძნეულ კაეშნით,  
და ამიტომაც ძალუმი წესით,  
თავის ღონიერ, უხეში ხელით  
საბედისწეროს გვიმზადებს წერილს.

ყოველთვის, როცა დავხუჭავ თვალებს,  
ჩავიდუდუნებ: ვგრძნობ გულის წუხილს,  
ცხოვრება – ცრუა, მაგრამ ხანდახან  
სიხარულითაც ამშვენებს ტყუილს.

ჭაღარა ზეცას მიაპყარ მზერა,  
და მთვარე გილჩევს შენს ბედისწერას,  
ოღონდ მოკვდავო, ჭეშმარიტებას,  
სიმართლეს, ნუ სთხოვ, არა გჭირდება.

დაე, მიმტყუნონ მე გოგონებმა  
შოთხვის ყვავილთა ქარბუქეში მავალს.  
დაე, გამცვალონ ცრუ მეგობრებმა,  
ავს არ ვუსურვებ ამქვეყნად მავანს.

დე, მეალერსონ ნარ-ნარი ხმებით,  
დაე, დამზასრონ ბოროტი ენით.  
ყველაფერს უკვე ვარ შეჩვეული,  
ამგვარ ცხოვრებით განვლიე დღენი.

სულს მიციებენ ეს მწვერვალები,  
ვარსკვლავთა ცეცხლს ხომ არა აქვს სითბო.  
ის, ვინც მიყვარდა, მანაც უარმყო...  
გადამივიწყა სულ ყველამ თითქოს.

მაინც ღიმილით ვუმზერ დათიონს,  
უარყოფილი და განდევნილი.  
ამქვეყნად ყველა ავ-კარგისათვის,  
ცხოვრების კვლავაც ვარ მაღლიერი.

ესენინი

\* \* \*

ხეპლეს ეძლევა სიხარული.  
სათუთს ეძლევა სევდა.  
აღარ მაქვს არვის სიბრალული,  
მომავალს ვეღარ ვხედავ.

სულ ოდნავ თავი მეცოდება  
მებრალვის უსახლ-კარო ძალლი.  
ამ გზამ მიმიყვანა დუქანთან,  
გამიღო სამიკიტნოს კარი.

რისთვის მაგინებთ დემონნო?  
მეც ვარ ამქვეყნის შვილი.  
სირჩა არაყზე გირაოდ  
თუნდაც უშარვლოდ ვივლი.

მზერა ამღვრეული  
ხვატი, კაეშანი.  
მზეში გალუმპეული  
ქუჩა, დერეფანი.

ქუჩაში ცინგლიანი ბიჭი.  
ჰაერი მშრალი და ცხელი.  
ძალინ ბეღნიერი  
ბიჭი ცხვირს იქექავს ხელით.

იჩიჩქენე, ჩემო ბიჭო,  
შეიყავ თითი ცხვირში,  
ასეთი ძალით ოღონდ  
არ ჩაძვრე საკუთარ სულში.

მე მზად ვარ, გაუბედავი!  
შეხე ბოთლების ლაშქარს!  
კორპის საცობებს ვაგროვებ, –  
მე სულის დასაგმანად.

ესენინი

## ლ. 6. კაშინას

მდელოსფერ ნაწნავებით  
და ქალწულის მკერდით,  
გუბურაში არყის ხევ  
რატომ იხედები?

რად წკრიალებს ქვიშრობი?  
რას ჩურჩულებს ქარი?  
თუ გსურს დალალ-რტოებში  
სავარცხელი მთვარის.

გამიმხილე ნაღველი,  
გული გამიშალე,  
ეგ მწუხარე შრიალი  
როგორ შევიყვარე.

მიპასუხებს არყის ხე,  
ცნობისმოყვარე ვაჟს;  
„ცრემლები ღვარა წუხელ  
ყმაწვილმა მწყემსმა აქ“.

აშრიალებულ ჰექილს  
მთვარე აფენდა ჩრდილს,  
შიშველ მუხლებზე როცა  
მეხუტებოდა ის.

ნახვამდის ჩემო მტრედო,  
– ამოიოხო ღრმად,  
„წეროთა მოფრენამდე  
დამელოდეო კვლავ“.

ესენინი

\* \* \*

განა მართლა მიყვანხარ?  
– შენგან არას მოველი!  
ალმაცერად ნუ მიმჩერ,  
განა შენთან მოვედი?

შორიახლოს ვიყავი,  
თვითონაც ხომ ხვდები?  
ისე შემოგიარე,  
შენთვის კი არ ვვაღები!

ესენინი

## 30 რიცარს

ო, სულო მრავალ ცრემლდანთხეულო,  
კვლავ სტუმრად მოხველ ცოდვილ მიწაზე.  
ყანობილს ჩანხარ წარსულის ლანდად  
და აღარ კრთები შენ ჩემს წინაშე.

შენ მომაგონე ის ოქროს ხანა,  
როცა ჰყვაოდა ჩვენთვის მინდორი,  
გვავიწყდებოდა მთელი დღის დაღლა,  
დაისს ვუმზერდით როცა ჩვენ ორნი.

შენ წასვლა გერგო, მე კი – დარჩენა.  
არ ღირდა ალბათ, ქვეყნად გაჩენა!  
სიცოცხლეს იმად გვაძლევს უფალი:  
დავტკბეთ დღითა და ღამით მწეხარით!

თუმც, სამოთხეშიც შობილი კაცი,  
გარიურაუზევე – ცხოვრების მკაცრის,  
განწირულია ბრძოლისთვის, ბედით,  
უნებლიერ – ან მავანთა ნებით.

ერთი მეორეს – ვერ ავსებს, ვერა!  
გულში ნათელი, როს გარეთ ბნელა,  
ან გულში – ღამე, გარეთ – ცისკარი,  
კვლავ სიხარული, დაუვიწყარი!

აგერა აპა, რა აღმაფრენით  
იგრძენი ძალა ქალის მშვენების!  
და მზეჭაბუკი ფერად სიბმრებით,  
შესტრიტის გაზაფხულს თავდავიწყებით.

გაოცებულა: სამყარო ვრცელი,  
მისთვის გაშლილა ქვეყანა მთელი.  
შორეთს იჩქარის ნათელი სახით,  
შეუზღუდავი სახლით და კარით.

როგორც ფრინველი ლაუვარდოვან ცად  
ზე აიჭრება და ეშვება კვლავ,  
ისე სიყვარულს ნაზიარები, –  
დაატყვევებენ სატრიტოს თვალები.

ადრე თუ გვიან სწყინდება ლხენა,  
ხვდება, მობეზრდა ტყვეობაც, ფრენაც.

სწამს შეყრა დღეა, გაყრა – უკუნი.  
კვლავ პაემანით სისხლის ბუზუნი.

და ქრება წამი – მომცველი წლების,  
და დგება უამი – კვლავ განძორების.  
მზერას უმანკო, მზრწყინავ თვალებით,  
ცნობენ საშინელ გამოსალმებით.

დატირებულმა ყველასგან ბოლოს,  
ჭმუნვა, ნაღველი დატოვე მხოლოდ.  
ენით უთქმელი შენი სვე-ბედით,  
ვნების ქარცხეცხლში გაგვხვიე ნებით.

და განწირულმა მკაცრი განგებით,  
შენში სიკვდილის შეიცან ხმები.  
მღერის მგოსანი: მიჯნურთა გულებს  
გაყრა-სიკვდილით ნუ დააწყლულებ!

ტანკვა-წამებულთ, ნუგეშის მთხოვართ  
ღმერთო, შეუნდე ყოველი ცოდვა!

გოეთე

## სულის ამოხდა

ეს რა მემართება, ნეტავ რა მოსდის გულს?

ამ დახშულ ბინაში ო, როგორ უჭირს სულს!

ღრუბელთა საუფლოს, სად მუდამ ქრის ქარი, –  
იქ, მწვერვალებისკენ, იქითვენ ვიჩქარი!

შავმა ფრინველებმა დაბურეს ლურჯი ცა.

მეც თქვენთან მოვთრინავ ჩიტებო თქვენი ძმა!

ჩვენ გადავუქროლეთ ქარათებს, უფსკრულებს.

ნუთუ იქ მას ვხედავ? ზემოდან ვუყურებ!

მიდის და ოცნებობს, ზეციდან მივყვები,

მგალობელ ჩიტივით – ტყის ზღაპარს ვუყვები.

მისმენს გარინდებულ ტყეში და თან ხარობს:

„ო, რა ტკბილად მღერის,

ალბათ მე მიგალობს.“

დაისი ოქროსთვად მთებს აამზეურებს.  
ნარნარი ქალწული ცას და მზეს შეჰყურებს.

მიღის და მიჰყება მდინარე ლიკლიკით.  
ირგვლივ ჩამობნელდა, დაკარგა ბილიკი.

მაშინ, მე შორეთში ვარსკვლავად ვინათე.  
ითიქრე: „ალერსით, ნეტავ რა მინათებს?“

ზეცას შეხედე და – წამი გაირინდა!  
შენს ფერხთით დავეცი, ოცნება ამიხდა!

გოეთე

მავა რიაბა და მისი  
ორმოცი ასული

(ზღაპარი)

ოდესლაც, უხსოვან დროში,  
დრო ლაბირინთს რომ ხლართავდა  
ერთ აყვავებულ სამეფოს  
მეფე ნიკიტა მართავდა.

უზრუნველი და მდიდარი –  
ჭამდა, სვამდა, თან ღრეობდა.  
არც ავის, არც კარგის მქმნელი –  
ლოცვასაც არა სცდებოდა.

და სულ სხვადასხვა ქალისაგან  
ანგელოზივით ლამაზი –  
ჰყავდა ორმოცი ასული,  
სულით წარმტაცი და ნაზი.

ორმოცი ტურთა ქალწული  
არამიწიერ მშვენებით.  
მუქი თმებით და თვალებით...  
სავსენი გონიერებით.

მომნუსხველა მზერით ტყვედქმინლი –  
მნახველი – სახტად რჩებოდა...  
იმათ სრულყოფილ მშვენებას  
მხოლოდ ერთი რამ ჰკლებოდა.

ერთი რამ დავიწყებოდა  
თითქოსდა სულ უმნიშვნელო...  
მათი შემნისას – მშვენება...  
ქალური... ო... ღმერთო ჩემო...

მეფის ასულთა სრულქმნისას  
(ახსნასაც კი ვკადნიერობ),  
გენაარს გამორჩენია –  
წიაღი-საშვილიერო...

თავმდაბალ კაცსაც მოხიბლავს,  
– დღესავით არის ნათელი –  
ვენერას სავსე მკერლი და  
მარწყვივით ტკბილი ბავენი.

მოქნილი, სწორი ტან-ფეხი  
ტრავობის ცეცხლს ყველას აუნთებს...  
ვნებას კი ის აგიზგიზებს –  
რაც აკლდათ მეფის ასულებს...

ეს სულ არ ენაღვლებოდათ  
მხიარულ, ტურთა ქალწულებს...  
გული უწესდა ხელმწიფეს  
და შეცბუნებულ მსახურებს...

დარღობდნენ მათი დედებიც...  
– ჭორებში – ახალ-ახალის –  
მეან – ბებია ქალების  
ერია ხელი მსახვრალი...

ვიშვიშებდნენ და უკვირდათ  
ბუნების ეს სასწაული...  
ზოგს ჩუმად ეცინებოდა  
განგების ამ საზღაურით...

მეფე ვაზირებს მოიხმობს,  
მხცოვან გადიებს უბრძანებს:  
რომ მკაცრად დასჯის, ყველას, ვინც  
ცოდვისკენ ქალწულთ უბიძგებს.

ორაზროვნად, ან ქილიკით  
ვინაც ცოდვის ქმნას უმარჯვებს –  
მეთეს არ უყვარს ხუმრობა –  
იმწამსვე ენას ამოპგლექს...

სამართლიანი ხელმწიფე  
მკაცრად დასკიდა ჭაბუკებს –  
ცოდვისკენ ვინც ანიშნებდა  
უცოდველა, ტურთა ქალაწულებს.

ირგვლივ, ყველა შიშით ძრწოდა,  
განკითხვას თავს არიდებდა...  
სითვრთხილით და მოკრძალებით  
ჭორისგან თავს შორს იქერდა.

ცოლებს ძლიერ ეშინოდათ –  
ქმრებს რამე არ შეეცოდათ;  
კაცები დარდს მისცემოდნენ:  
„ცოლებს რამ არ მოეროშათ!“

დრო უსწრათესად მიჰეროდა...  
დევნიდა ბოროტ ავსულებს...  
სიმწიფე ემატებოდათ  
უცოდველა, ტურთა ასულებს...

მეფემ კი – დარღით აღვსილმა,  
მსახურებისგან მალულად  
ნაზირ-ვეზირებს მოუხმო  
რჩევისთვის, ჩუმად, ფარულად.

ერთმა მხცოვანმა მრჩეველმა  
თავი სიმდაბლით დახარა  
და მოკრძალებით, შეკრებილთ  
შემდეგი რამე ახარა:

გთხოვ, მომიტევო ხელმწიფევ,  
უტითრობისთვის ნუ განმსჯი...  
გრძენო და უმამაცესო,  
ამ ამბისათვის ნუ დამსჯი...

დიდი ხნის წინათ, ვიცნობდი  
ერთ მჩხიბავს, მაგრამ მოკვდავმა  
იქნება სული დალია,  
იქნება – ჭირიც მოგვჭამა.

ამბობდნენ, იყო მისანი,  
მკურნალი, ყველა სენისა,  
სწორედ ის უნდა მოვძებნოთ –  
მომრჩენი სნეულებისა.

— ის თუ გვიხსნის და გვიშველის.  
სწრაფად გავგზავნოთ შიკრიკი,  
შესძახა მეთე ნიკიტამ —  
და აეჯაგრა თივთიკი...

აზიდა მკაცრად წარბები —  
— უნდა მოვდებნოთ, ვიპოვნოთ,  
მიწისქვეშეთშიც რომ იყოს,  
უცილოდ ამოვიყვანოთ.

მაგრამ, თუკი მშრალზე დაგვსვამს,  
თუკი მიედ-მოედება,  
არ დავინდობ, სიცრუისთვის —  
მისაგები-მიეგება.

მე არ ვიყო მაშინ მეთე,  
მივენდობი ციურ ძალებს,  
პასუხს მკაცრად ვაგებინებ,  
ცეცხლის ალზე დაწვას ვგრძანებ.

ესა თქვა და მკაცრმა მეთემ  
საიდუმლო ბილიკებით  
საძებნელად გაუყენა —  
გზირები და შიკრიკები.

იმ ალქაჯის საპოვნელად,  
მოიარეს ამიერი,  
ოთხივ კუთხივ იმერი და  
სამეფოს დასალიერი.

წელს მისდევდა წელიწადი,  
შეაჯერეს მთა და ბარი.  
ბოლოს, ერთმა მუყაითმა,  
იღბლიანმა ჰელვა კვალი.

და მაცდურის თანადგომით  
მოიძია ტყეში ხულა –  
კუდიანი დედაბერის  
სამოსახლო და ხეხულა.

ჟიქურ ეახლა ჭადოქარს,  
როგორც ხელმწიფის დესპანი –  
მოიკითხა და აუწყა  
მისვლის მიზეზი, მიზანი –

– რაც აკლდათ დაბადებიდან  
მზის სადარ ორჯერ ოც ასულს,  
უმალ მიუხვდა – სატკივარს  
მისანი, ელჩს – თავზე გასულს.

კარში გააგდო, შესძახა –  
მოუხედავად წადიო,  
სამი დღის შემდეგ დაბრუნდი  
ნურათვრის გქონდეს დარდიო:

ამანათისთვის გახსოვდეს,  
განთიადისას მოდიო.  
ქოხში მიყუჩდა გრძნეული –  
კარს მიაგორა ლოდიო.

სამ დღე-ღამეს ბუტბუტებდა  
– ავსულ ქაჟებს მოუხმობდა.  
საჩუქრების წასაღებად  
დესპანს სკივრი თანა ჰქონდა.

მოუმზადა რაც შეჰპირდა  
ამანათი – ცოდვით სავსე...  
ყველა ზომის, ყველა ფერის,  
ის, რაც აკლდათ მეფის ქალებს:

... ორმოცი გრუბა, ხვეული  
და საგანგებოდ რჩეული –  
ხილაბანდში გამოეკრა,  
ალქაჯს – ყველა, დარჩეული.

სკივრში კოხტად ჩააწყო თან  
გასაღებიც დაატანა...  
დესპანს გადააზარა და  
საგზლად ვერცხლიც გაატანა.

გამთენისას, დაღალულს  
დესპანს მოსწყურდა, მოშივდა,  
ცხენი მიაგდო მწვანეზე  
და დასვენება მოუნდა...

იფიქრა წავიხემსებ და  
გადავკრავ ცოტა არაყსაც.  
სასმელი მუდამ თან ჰქონდა  
თადარიგიან მხნე კაცსა.

ლუკმა გაღეჭა, გადაჰკრა  
და დაათენდა კიდეცა.  
ცხენს უნაგირი აჰყარა  
და თან ოცნებას მიეცა:

„მეფე ამ გარჯის საფასედ,  
თავადობისთვის მამზადებს“...  
დაინტერესდა: „იმ სკივრით,  
ალექაჭი ძლვნად რას ამზადებს?“

ჭუჭლუტანაში ჩახედა,  
ვერ აისრულა წადილი –  
შიშმორეულმა ითვიქრა –  
ალბათ, ქადოა, ნამდვილი,

მიაყურადა, დაყნოსა,  
წამოიყვირა ანცობით –  
თუი, დალახვროს ეშმაკმა!  
ეს რა სუნია – ნაცნობი?

ცნობისმოყვარე დესპანმა  
გახსნა სკივრი და იქიდან  
ლამაზი ფრთების ფართატით,  
ორმოცი ჩიტი აფრინდა,

ხეზე შესკუპდნენ მოლხენით,  
კევლუცად, კუდის ქანქარით...  
დესპანი ამაოდ დაშვრა –  
ვერ მოიტყუა ქაქანით...

საკენკიც კი დაუყარა...  
მაგრამ შენც ნე მომიკვდები,  
როკებზე ერჩივნათ ქდომა –  
იწონებლნენ თავს კუდებით.

გაწილებული დესპანი  
უკან გამრუნდა გოდებით,  
ალქაჯს მუხლი მოუდრიკა –  
მიხსენო, შენი ლოცვებით...

ეხვეწებოდა, ტიროდა  
დედავ, მიშველე რამეო,  
სკივრიდან ამომითვინდნენ,  
ვერასგზით ჩავიყვანეო...

ალქაჯმა ახედ-დახედა,  
ჩაიჩითჩითა თავისთვის,  
თან, განზე გადაანერწყვა,  
კი ხარო, ღირსი ამისი...

ნუ სტირი, ნუღარ ვაგლახობ,  
გამრუნდი იმავ ადგილას,  
„ამოიღე და აჩვენე –  
იქნებ მოთვინდნენ ადვილად...“

გაიქა... ისე მოიქა,  
როგორც ალქაჯმა ურჩია  
და ორმოცივე ჭიკჭიკით,  
ჩათრინდა, ბუდეს ეწვია...

სასწრატოდ სკივრი დახურა,  
სათუძვლიანად ჩარაზა...

მიუხაროდა სახლისკენ,  
მიიმღეროდა გზადაგზა...

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ,  
მიაბრძანა კიდობანი...  
გაახარა, აამღერა  
ორმოცივე დედოფალი...

მეფემ ნადიმი გამართა  
გახსნა სამეფო კარები...  
შვიდი დღე – ღამე ილხენდა  
და განიქარვა დარღები...

ერთ თვეს ყველა დაასვენა...  
მრჩევლები და ვეზირები  
საჩუქრებით დაამშვენა.  
არც ალქაუს დასწყვიტა გული,

პირდაპირ კუნსტკამერიდან  
სიცილითა და ქირქილით  
ექიდნე და ორი ჩონჩხი  
გაუგზავნა სპირტის ქილით...

... იქ დესპანი დასაჩუქრდა,  
ზღაპარი კი - აქ დასრულდა...

პუშკინი

## ყვავილი

გამხმარი, ნაზი ყვავილი,  
მივიწყებული წიგნიდან;  
უცნაურ ოცნებით მავსებს  
და სულს მითოთოლებს ფიქრითა;

სად? როდის? რომელ გაზაფხულს?  
რამდენ ხანს იყო გაშლილი?  
ან ვინ მოსწყვიტა? წიგნში რად  
ჩამალა ვნება-აშლილი?

იქნება ნაზი პაემნის,  
ან ნიშნად განშორებისა!  
განმარტოებით ველ-მინდვრად,  
თუ – ტყეში სეირნობისას?

ნეტავ კიდევ თუ ცოცხლობენ?  
ან სად აქვთ ახლა სახლ-კარი?  
თუ, უკვე ისინიც დაჭკნენ,  
ვით ეს ყვავილი გამხმარი?

პუშკინი

\* \* \*

მე თქვენ მიყვარდით: ეს სიყვარული  
არ მინავლულა ჟერ სულში იქნებ;  
მე თავს არაფრით აღარ შეგაწყენთ,  
არ მსურს იდარდოთ რაიმე კიდევ.

მიყვარდით უხმოდ და უიმედოდ,  
ხან კრძალვით, ეჭვით მტანწავდით ხანაც;  
მიყვარდით ისე ნაზად და წროველად,  
ღმერთმა ქნას, ასე უყვარდეთ სხვასაც.

პუშკინი

\* \* \*

ტაძრის ზღურბლებე საიდუმლოდ  
წმინდანების სახელებს  
ვიჩურჩულებ, ღმერთს ვაველრებ  
ოცნებების ახდენებს...

შენს სუნთქვას ვგრძნობ, როგორც სიჩმრად –  
სიყვარულის ფერებით...  
შენს ფიქრებში ჩემი სახე  
გაკრთება გახელებით...

ირგვლივ კი კვლავ სიჩუმეა,  
დაცხრა მოთქმა, გოდება...  
კვლავ ვჩურჩულებ,  
წმინდანების სახელი მაგონდება.

ყველათერი სიცრუეა,  
ამაოა ყოველი!  
ვთრთი, ვლოცულობ, შენთან ერთად  
ცად გაფრენას მოველი!..

ბლოკი

\* \* \*

გაზაფხულია, მესმა ზარის ხმა  
შენ მხიარულმა ფანჯარა გახსენ.  
დღემ გაიცინა, ისევ დადუმდა.  
ვარდისტერ ძათით მოქარგულ ღრუბლებს  
მზერა მიაპყარ, შენც გაიცინე;  
გაჩუმდი უმალ.  
რამ ჩამიარა ასე ახლოს, რამ შემაცბუნა?  
ავარდისტრებულ ტყისკენ გავწიე...  
შენ დამივიწყებ, ვით მაპატიე.

ბლოკი

\* \* \*

დავშრდით, მაგრამ შენს სახეს  
მე კვლავაც გულით ვატარებ;  
ვით მკრთალი ლანდი წარსულის,  
სულს ძველებურად ახარებ.  
ახალ ვნებათა ქარ-ცეცხლში  
გადაყვარება ძნელია.  
დამსხვრეულ კერპს  
კვლავ ღმერთად გთვლი,   
ტაძარი ერთადერთია!

ლერმონტოვი

\* \* \*

მადლობელი ვარ მე ყველათრისთვის:  
იმ იდუმალი ტანკვა-ვნებისთვის,  
შხამნარევ კოცნის, მწარე ცრემლისთვის,  
მოყვრის მზაკვრობის და

მტრის შუღლისთვის;  
მგზნებარე სულის ჩათერთვლისათვის,  
რითაც მაცთუნე, ყველათრისათვის...  
ისე მოაწყვე მომავლისათვის,  
კვლავ გიმადლოდე ჩავლილ დღისათვის.

ლერმონტოვი

## აფრა

ქათქათებს აფრა ცისფერ ნისლში  
ზღვაზე ეული...  
ნეტავ რით ხიბლავს მხარეები  
მას შორეული?

ბობოქრობს ტალღა, ქარი წივის,  
ჭრიალებს ანძა...  
არც უიღბლობას გაურბის და  
ბედს ეძებს არცა.

ლაუვარდოვანი წყლის ტალღებზე  
მზე დაივანებს...  
და მეამბოხე გრიგალს შესთხოვს  
მყუდრო სავანეს!

ლერმონტოვი

\* \* \*

მე მომწონს, თქვენ რომ ავად არა ხართ ჩემით;  
მე მომწონს, მე რომ ავად არა ვარ თქვენით;  
რომ არასოდეს არ მოვიგლით

ერთად სამყაროს  
და არ გავთელავთ ფეხქვეშ ხმელეთს  
ერთად არასდროს.

მომწონს, დე, იყოთ დასაცინი – თავაშვებული  
და ფუქ სიტყვებით არა ლალობდეთ,  
ხელების მსუბუქ შეხებისას

არ გვწვავდეს ცეცხლი,  
ალერილთ ტალღა სიწითლისა  
რომ არ გვახრჩობდეს.

მე მომწონს ისიც, სხვას რომ გულბე  
იხუტებთ მშვიდად, თუნდ მეც იქ ვიდგე...  
და არ მისურვებთ ჯოჯოხეთის

ცეცხლში შთანთქმას –  
სხვას რომ ვკოცნიდე.

მომწონს, ჩემს სახელს რომ არასდროს  
ახსენებთ უზრად...  
საკურთხეველთან რომ არასდროს  
დავდგებით თუნდაც,  
„ალილუიას“ ტაძარში რომ არვინ გვიგალობს!

მადლობელი ვარ მე წრთელი გულით,  
რომ გიყვარვართ ასე და ვერ კი ხვდებით,  
ჩემი ღამეულ მშვიდი ძილისთვის  
და დღის მიწურულს – იმ იშვიათ  
შეხვედრებისთვის.

მთვარიან ღამით არშემდგარი პაემანისთვის,  
იმ მწველი მზისთვის – თავზე ერთად  
რომ არ დაგვნათის,  
იმისთვის, თქვენ რომ, ვაგლაახ,  
ავად არა ხართ ჩემით,  
იმისთვის, მე რომ, ვაგლაახ,  
ავად არა ვარ თქვენით!

გ. ცვეტაევა

სასუფეველში ვერასოდეს მოვხვდები ალბათ!

წითელ ვაშლს ხიდან არასოდეს

არვინ მომაწვდის –

ჩემთვის კუთვნილი არ იქნება

სამოთხე რადგან!

ფერად-ფერადი რიალებენ

სადაც ღრუბლები –

მე მივადგები უნაპირო სამოთხეს ჩემსას –

ალთემულ მიწაზე – მთებს გადაღმა –

სასახლეებით!

და მონუსხული მეწამული საღამოებით –

შეცტუნებული, შეცდენილი –

გრძნეულ თილისმით –

განვდევნით ეშმას ცხოვრებისგან

უარყოფილნი!

ემილი დიკინსონი

რატომ მიყვარხართ?

განა ბალას

უზრდანებს ვინმე

არ შეირხეს,

ქარის ქროლვისას!

ჩვენთაგან, ვინმეს

თუ შესწევს ძალა —

ახსნას მიზეზი —

რად ვხუჭავთ თვალებს გაელვებისას?

ნამდვილი ტრუობა

უსიტყვოა...

ენამრავლობა, ჭორაობა —

სენია ხალხის!

... ჩემო ბატონო! მე თქვენ მიყვარხართ...

თქვენს ლოდინში ველი ალიონს...

და თქვენთან ერთად

მსურს ცხოვრების დღენი განვლიო...

ემილი დიკინსონი

„სახლებზე“, მეტად – ამბობენ გრძელები –  
 „სასახლეები“ უფრო თბილია...  
 სასახლეებში – ქარტეხილს უძლებ..  
 სასახლეებში – არა ტირიან...  
 „ბევრი სავანე“ „უცნობმა მამამ“  
 აააგო, მყუდროდ, მოთარებულად...  
 ზოგი პატარა იქ გზას გაიგნებს –  
 ზოგი – კი ივლის ფეხათრეულად...

ემილი დიკინსონი

## არარაობა – აი, ვინა ვალ!

არარაობა – აი, ვინა ვალ!  
არარაობა – თუკი ხარ შენც,  
ნურვის გაუმხელა – გაგვაძევებენ  
და გაგვრიყავენ ორივეს, ჩვენ!  
მოსაწყენია „ვიღაცად“ ყოფნა!  
ამ ვიღაცაზე საჯაროდ მუდამ,  
როგორც ჭანჭრობში – ბაყაყი თუნდაც –  
ყიყინებს ყველა, ვისაც რა უნდა...

ემილი დიკინსონი

\* \* \*

დამიმახსოვრე! გახსოვდე მარად!  
სანამ ჟერ კიდევ სინდისი გქექნის!  
გთხოვ, მიერთგულე! მესიზმრე მაინც,  
სანამ ჩამიქრა სიცოცხლის ცეცხლი!  
გახსოვდე მარად! ნუ დაეჭვდები.  
შენს ქმარსაც ხომ სურს – გახსოვდეს ისიც!  
თუმც ვიცი, მასაც არ უერთგულებ  
და მეც ვიქნები ღალატის მსხვერპლი!

ქორქ ბაირონი

\* \* \*

სარკმლიდან ამინდს უმზერდა ორი:  
ერთი ხედავდა წვიმას და ტალახს...  
ხოლო მეორე-კრიალა ზეცას,  
შეფოთლილ ხეებს და მწვანე ბალახს...  
ერთი თანჯრიდან გაზაფხულის  
უმზერდნენ ამინდს – სხვადასხვაგვარად...

ომარ ხაიამი

## ანაბელ ლი

ეს იყო დიდი-დიდი ხნის წინათ,  
ერთ სამეფოში ლამაზ ზღვის პირას  
სიყვარულისთვის შექმნილი ქალი –  
რომ ჰყვარებოდა და ჰყვარებოდათ,  
ცხოვრობდა ტურთა ანაბელ ლი... –

ის იყო ბავშვი, მეც ვიყავ ბავშვი...  
იმ სამეფოში ლამაზ ზღვის პირას  
ვეტროფოდით ერთურთს  
გულწრთელი გრძნობით...  
მე და ქალწული ანაბელ ლი.

ჰოდა ხანმოკლე წუთისოფელმა  
იმ სამეფოში ლამაზ ზღვის პირას,  
არ გვაპატია ის სიყვარული  
წამართვა ჩემი ანაბელ ლი;


ლეგა ღრუბელი აშალა ქარმა..  
კანონიერმა ჭირისუფალმა  
შორს წაიყვანა ანაბელ ლი...  
და მიუვალი კლდის აკლდამაში  
ლამაზ ზღვის პირას ჩაკეტა ის.

ისე გვიყვალდა ჩვენ ერთმანეთი  
ანგელოზებსაც კი შურდათ ცაში...  
ქარიან ღამემ შავი ღრუბლი  
სწორედ ამიტომ აშალა მაშინ...  
და გაიტაცა შორს წაიყვანა  
ჩემი ლამაზი ანაბელ ლი ...

მაგრამ სიშორემ ეს სიყვარული  
გააძლიერა, ვერ გაანელა...  
ვერც ქერუბიმა – მაღლა-ზეცაში,  
ვერც დემონებმა ზღვის უფსკულებში  
ვერ დააშორა ჩვენი სულები:  
ჩემი და ტურთვა ანბელ ლის.

მთვარის ნათელი ოცნებით მავსებს  
და მელანდება ანაბელ ლი;  
ვარსკვლავთ ციმციმი ღამეულ ცაზე  
თვალებს მაგონებს ანაბელ ლის;

აბობოქრებულ ტალღის ხმაურში,  
მას შემდეგ ყოველ შუაღამისას  
უმშვენიერეს ჩემს საპატარძლოს  
საფლავზე ვწვები, ლამაზ ზღვისა პირას...  
ედგარ ალან პო



# ჩანახაჭერი

## მალა

— დედიკო, დედიკო, მელას კარგი სუნი აქვს?  
რატომ სუნავენ სხვისი ძაღლები?

— ძუკნაა და იმიტომ! — დაბნეულმა ვუპასუხე  
პატარა მარიამს და შუბლზე დაუდევრად ჩამო-  
ყრილი თმები შევუსწორე.

— შენ ძუკნა უძახე და ამისთანა ჭკვიანი, ძა-  
ღლი კი არა, ბარე ორი კაცი არ მეგულება ამ  
სოფელში! — მომიბრუნდა თოხის ტარზე და-  
ყრდნობილი ძია ლადო და ფეხებთან დაყუნ-  
ცულ მოზრდილ, ბომბორა ძაღლს ალერსით  
კისერში მოუთათუნა ხელი.

მართლაც, ჭკვიანი და ძალიან ავიც იყო „მე-  
ლა“. ეს სახელი წითური ბეწვისა და ფუმფულა  
კუდის გამო შეურქმევიათ.

ერთგულად დარაჯობდა მთელ უბანს. ძია  
ლადოს ეზოს სიახლოვეს უცხო კაცს არ გაა-  
ტარებდა, რომ არ შეეღრინა. ყეფით გამოუვარ-  
დებოდა ჭიშკართან შეშინებულ მგზავრს, ერთს  
დასუნავდა, მერე თვალებში შეხედავდა და

თუკი შეიცნობდა, კუდის ქიცინით უკან გამობრუნდებოდა.

განსაკუთრებით კი, ონავარ ბიჭებს უყეფდა. მდინარეზე საბანაოდ მიმავალ უბნის გოგოებს აედევნებოდა, ნაპირზე იმათ ტანსაცმელს დარიაჯობდა. აბა ვინმეს რამე გაებედა!

სოფელში შარა-შარა წანწალი არ უყვარდა. როცა კუდის ქიცინით ორლობები მომავალს დაინახავდნენ, უკვე ყველამ იცოდა, ან ძიალადო გამოჩნდებოდა, ან მისი ოჯახის რომელიმე წევრი.

წერწყი არ იყო. არც ხმელა პურზე იტყოდა უარს და არც ძვლიანი მწვადის გემრიელ ლუკმაზე. როგორი მშიერიც არ უნდა ყოფილიყო, სახლში არასდროს შემოვიდოდა.

მძუნარობისას გენახათ! ცეცხლისმთრქვეველ თვალებს ისე ნაბად მინაბავდა და ისე გამომწვევად გაძუნძლდებოდა, რომ მთელი სოფლის ძალლები ძიალადოს ეზოში იყრიდნენ თავს და იყო ერთი გნიასი...

ახლა როგორი სიცილი იცოდა?! დიდი ხნის უნახავს რომ დაგინახავდა (თუკი ძალიან ახლობლად მიაჩნდი), გამოქანდებოდა, დრუნჩს წინ წამოწევდა, კბილებს დაკრეჭდა, პილს

გაიგანიერებდა და რაღაც საოცარ ბგერებს  
გამოსცემდა.

საზრიანიც იყო. ერთხელ, თურმე დიდთოვ-  
ლობას ძია ლადოს მოხუცი დედა ორლობები  
წაქცეულა, ირგვლივ კაციშვილის ჭაჭანება არ  
ყოფილა; შებინდებისას „მელა“ გუმანით რა-  
ღაცას მიმხვდარა, მოხუცი მოუექებნია, მერე  
ძია ლადოსთან მიურბენია და შარვლის ტოტზე  
კბილებჩავლებული მიუყვანია მოხუცთან.

რომელი ერთი გავიხსენო... ქართული ენის  
განმარტებითი ლექსიკონით „ძუკნა“ ძუ, დე-  
დალ ძალლს ნიშნავს...

## ყაყაჩოსფრი კაბა

— ალო, გისმენთ, გამარჯობათ, კარგი, გენაცვალე, დღეს მეტს აღარ დავაკვრევინებ. დიახ, აუცილებლად გადავიხდი, დღესვე, კარგად ბრძანდებოდეთ.

ყურმილი დაკიდა და კიდევ უფრო დადანდიანებულმა დაცარიელებული მაცივრის წმენდა განაგრძო:

— გუშინ ჰურიც ნისიად ამოვიტანე, საიდან ვიშოვო ეს ოხერი ფული, საიდან? თანაც, თუ დღესვე არ გადავიხადე, ხვალ ბავშვს ფორტეპიანოს სახელმწიფო გამოცდაზე არ დაუშვებენ!..

— ბოოოთლებს ვიბარებ, ბოოთლებს! — მოისმა გარედან. ქალმა ფანქარა გამოაღო. ეზოში შეახნის კაცი ბოთლებით სავსე ტომარას დანჯღრეული „მოსკვიჩისაკენ“ მიათრევდა.

— ბიძია, შამპანიურის ბოთლებს ჩაიბარებ? — გადასძახა კაცს.

— ამოვალ და ჩავიბარებ, მაშ რას ვიზამ, მარისთვინა ვყვირივარ? ვა, ეს რა ხალხია კაცო.

— ჩაიდუდუნა კაცმა და ხუთ წუთში, აქოშინებული, კართან გაჩნდა.

— ძაან სიცხეები დაიჭირა აი! — ამოიხვნეშა, დაწვრიალებული სახლის ინტერიერი მიათ-

ვალ-მოათვალიერა, მხრები აიჩეჩა, ქვედა ტუ-  
ჩი გადმოატრიალა, თავი აქეთ-იქით რამდენ-  
ჟერმე გადაიქნია და საქმეს შეუდგა:

— ესენი მძიმე ბოთლებია, ამეებსა მარტო  
საგარეჯოს ქარხანა იბარებს; ჰოოო, ესენი  
კიდევა — „სუმბუქები“. ერთი ბოთლი — სამი თე-  
თრი, ოცდაათი ბოთლი — „ზნაჩიტ...“ — თავის-  
თვის ლაპარაკობდა კაცი და თან შამპანიურის  
ბოთლებს ახარისხებდა.

ტომარა გაავსო, ზურგზე მოიგდო, ერთ ლა-  
რამდე ხუთეთრიანები კომოდზე მდგარ პაწია  
ბროლის ლარნაკში ჩაყარა, ღმერთმა ხელი  
მოგიმართოსო, — დაილოცა და ღიღინით კი-  
ბეზე დაეშვა. შემოსასვლელში კი გულისამრევი  
ოფლისა და მყრალი არყის სუნი დატოვა.

— ესეც შენი ჰურის ფული! — გული ყელში მო-  
ებჯინა ქალს და თვალები ცრემლებით აევსო.

უცებ, გადაწყვეტილება მიიღო. აჩქარებული  
ნაბიჯით საძინებელში შევიდა, მდელოსფერი  
ფაიფურის, როკოკოებიანი ზარდახშა გადმოა-  
პირქვავა და ძველებური, ბებიასეული მარგა-  
ლიტისთვლიანი ბეჭედი ამოარჩია. დიდხანს  
ატრიალა ხელში, შეყოყმანდა კიდეც, მერე  
საჩვენებელ თითზე წამოიცვა, გვერდზე თავ-

გადაწეულმა შორიდან შეხედა და თითქოს  
გულზე მოეშვა.

ხასიათის გამოსაკეთებლად ერთ დროს  
ყველაზე მოდური და ახლაც ელეგანტური,  
„რეტროს“ სტილის, ბებიას „ბინგერზე“ შეკერი-  
ლი ყაყაჩოსფერი კაბა ჩაიცვა, ტუჩზე კვასკვასა  
წითელი „პომადა“ წაიცხო (ძალიან ცუდ ხასი-  
ათზე ყოფნისას მუდამ წითელ ფერს ირჩევდა),  
სარკის წინ რამდენჯერმე დატრიალდა და სახ-  
ლიდან გავიდა...

... ოქროს ბირუაზე მყიდველზე მეტი გამყი-  
დველი დაბორიალობდა...

## ნდობის ფაქტორი

(თბილისური ჩანახატი)

— ხელოსანს გავაკეთებინებ! ჩქარა ჩამოდი, მე მანამ მანქანას გამოვიყვან. — გადაულაპარაკა ცოლს და წინა საღამოს მავთულზე გამოხეული „დუბლიონკა“ იღლიაში ამოიჩარა.

ჭაობისფერ, კრიალა, უცხოური მარკის (საკმაოდ ძვირადლირებულ) ავტომობილს უკანა ფარზე მიკრული ტალახი ხელით მზრუნველად მოაშორა, ჰიჯაკის სახელოთი გადააპრიალა და კმაყოფილი სახით საჭეს მიუჯდა.

ქალმა სახლის კარი ჩაკეტა, გასაღები მეზობელს ჩააბარა, კიბეები კეკლუცად ჩაირჩინა და მეუღლეს გვერდზე მიუსკუპდა.

მანქანის უკანა სავარძელზე კეთილი მეზობელები – დათო და ქეთინო მოთავსებულიყვნენ.

მარტის ცივი დილა იყო. ქალაქის გარეუბანში ღამით მთებზე ჩამოეთოვა, საკმაოდ გრილოდა, ნუშს კვირტები დაპბეროდა და ალაგ-ალაგ დასკდომოდა კიდეც. ჰაერში გაზაფხულის სუნი ტრიალებდა. ტრასის გადაღმა რამოდენიმე ცხვარი ახლადამოწვერილ ხასხასა გალახს წიწვნიდა.

— სამი კონა ტარხუნის ყიდვა შეიძლება ლა-  
რად! ტყემალს ჩამოსხვეპ, სახულავს დაახურებ  
და ნახევარ საათში მზად იქნება! — ჩვეული იუ-  
მორითა და ისეთი დამაჯერებელი ტონით წარ-  
მოთქვა დათომ, რომ მანქანის სალონში ჩაქა-  
ფულის სუნიც კი შეიგრძნეს.

— ტყემალი ჟერ არ გამოკვირტულა, ეხლა არ  
ივარგებს, მაგ საქმეზე ორ კვირაში ვილაპარა-  
კოთ. — კორექტივა შეიტანა ქალმა. ერთმანეთს  
გადახედეს და გულიანად გაიცინეს.

დათო და ქეთინო დიღმის გაზართან ჩამო-  
ვიდნენ.

— „პირიმზეში“ მივიტანოთ, იქ ნებისმიერი ხე-  
ლოსანი გააკეთებს, მეც გამოგყვები. — უთხრა  
ქალმა.

კოლმეურნეობის მოედანზე მანქანების ტევა  
არ იყო. თავისუფალი ადგილი მოძებნეს, მანქა-  
ნა გააჩერეს და ის იყო უნდა გადმოსულიყვნენ,  
რომ სალონში თავი შემოჰყო წარმოსადეგმა,  
მოხდენილმა, დაუდევრად მანტოგადალელილ-  
მა, სანდომიანი სახის ახალგაზრდამ.

— თუ ძმა ხარ, აქ მანქანას ნუ გააჩერებ, მიკ-  
რო-ავტობუსი უნდა მოვიდეს.

— ჩვენ თხუთმეტ წუთში დავზრუნდებით, ასე  
რომ, პრობლემა არ გვექნება, — უპასუხა ქალმა.

– მაშინ, გასაღები დამიტოვეთ, თუ „მარშ-ლუტკა“ მოვიდა, თქვენს მანქანას აქვე სადმე გადავაყენებ. – სანდომიანი ღიმილით წარმო-თქვა ახალგაზრდამ.

კაცს გაეცინა.

– კი მაგრამ, შენ ვინა ხარ, მანქანის გასაღები რომ მოგცე?

– მე? მე ძმაო ამ უბნელი, უბრალოდ, სოლო-ლაკელი ვარ, მთხოვეს, რომ ამ ადგილზე მან-ქანის გაჩერება არავისთვის დამენებებინა.

– კარგი, გასაღებს დაგიტოვებ. – მიუგო კაცმა. ქალი უკმაყოფილო სახით წუწუნს მოჰყვა:

– რომ მოხვიდე და მანქანა აქ აღარ დაგ-ხვდეს, ღირსი არ იქნები?

– ნდობის ფაქტორია ჩემო კარგო, ამ ბიჭს ნაღდი თბილისელის იერი აქვს, არ შეიძლება მოგატყუოს. – გადაულაპარაკა ცოლს და ძვი-რადღირებული ავტომობილი გულმოდგინედ ჩაკეტა, გასაღები კი უცნობ ახალგაზრდას გა-უწოდა.

ოც წუთში უკან დაბრუნდნენ. ქალს გული უფანცქალებდა, თვალებით მანქანას ეძებდა.

– ალღომ არ მიღალატა, თბილისელი თუ თბილისელს არ ენდო, ქვეყანა დაქცეულა და ეს

არის. – ღიმილით წარმოოთქვა კაცმა; დაუდევ-  
რად მანტოგაღელილ, უკვე ჩვენთვის ნაცნობ  
ახალგაზრდას თვალი ჩაუკრა, გასაღები გამო-  
ართვა და კმაყოფილი სახით ძრავა აამუშავა.

კოლმეურნეობის მოედანზე ათასი ჯურის  
ხალხი ირეოდა...

## ტესტური გამოცდა

— გამოცდაზე გახსენი, დედიკო! — საიდუმლოდ ჩამჩურჩულა ათი წლის კუდრაჭა მარიამმა.

— კოხტად დაკეცილი ბარათი გამომიწოდა, ორივე ხელი კისერზე შემომხვია და ისე მაგრად ჩამეხუტა, ტკივილისაგან კინაღამ ვიკივლე.

ტესტების რვეული და მოძველებული „ფუფუალას ქოლგა“ პარკში ჩავაგდე, საგამოცდო შევამოწმე და კარი გავიხურე.

გარეთ კოკისპირულად წვიმდა. ნამდვილი საგამოცდო ამინდი იდგა...

— თვალის კლინიკასთან რომ მიხვალთ, შემახსენეთ. ვთხოვე მიკროავტობუსის მძღოლს და ფანჯარასთან მოვეწყვე.

აღმაშენებელზე შავგვრემანი, წვერგაუპარსავი ახალგაზრდა კაცი, შუახნის ქალი და სამიოთხი წლის ბავშვი ამოვიდნენ.

— აქა მშვიდობა!

ყველას მოგვესალმა ახალგაზრდა, სალონი მოათვალიერა, ბავშვი მუხლებზე დაისვა, მობილური ხელდის ჩასაყრელთან დადო და მძღოლს ლაპარაკი გაუბა:

— ჩემი ბიჭია, რომ იცოდე რა ჯიგარი ბავშვია, გაგიუდები! ჩემი ძმაკაცია რა და იმასთან მივ-დივართ მე და დედამისი (ქალისკენ მოტრიალ-და), „პერედაჩი“ მიგვაქ. ჩემ ბიჭზე გეუბნებოდი, ბრატ, მობილური ვაჩუქოთ რობერტა ძიასო, იქნება რა დასჭირდეს, ან ჩვენ დავურნევამთ, ან ის დაგვირნევამსო, გესმის, ბიჭო რა მაგარი ბავშვია, ჩემი...

ენადგაკრეთილი კაცი დრო და დრო ბავშვს თავზე ოქროსბეჭდიან ხელს უსვამდა და თან ენას უჩლექდა.

მთელი გზა გადაუღებლად წვიმდა.

ციხეებთან ჩამოვიდნენ.

— თვალის „ბალნიცას“ ვინ კითხულობდა?  
— მომიბრუნდა მძღოლი და ისე დაამუხრუჭა,  
რომ თავი ვეღარ შევიკავე და ინერციით სიჩქა-  
რეთა კოლოფთან აღმოვჩნდი. ხურდა მივაწო-  
დე, კარი მივიქახუნე და პირდაპირ უზარმაზარ  
გუბეში ჩავხტი.

— ესღა მინდოდა? — ჩავიბუზღუნე და ნაბიჭა  
ავუჩქარე.

ქოლგა აღარ გამიხსნია.

საოცრად მაინტერესებდა რა სიურპრიზს  
მთავაზობდა მარიამის წერილი.

გამოცდა დაიწყო... ბილეთი ავიღე, ჩემთვის  
განკუთვნილ №40 მაგიდასთან მოვთავსდი და  
ბარათი გავხსენი.

— ცისფრად გაფერადებულ ცალხაზიანი რვე-  
ულის ფურცლის მარცხენა კუთხიდან ცხრათვა-  
ლა მზე მიცინოდა, ცაში მერცხლები დაფრი-  
ნავდნენ, ირგვლივ წითელი, ყვითელი, ისტვე-  
რი ყვავილები მიმოფანტულიყო. ამ ფონზე,  
სუთა წერის გულმოდგინებით, ლამაზად გა-  
დაბმული ასოები აი, რას მეუბნებოდნენ:

„დედა!

გისურვებ, რომ გამოცდა ჩააბარო. ვიცი  
აუცილებლად ჩააბარებ, გამოცდაზე ჩემი სიტ-  
ყვები გაიხსენე: „აუცილებლად ჩააბარებ“.  
დედა, იცოდე, ღმერთი ყოველთვის შენთან  
არის! გკოცნი... გკოცნი... ბევრჯერ... ბევრჯერ...  
დედა, მე შენზე შევთხოვ ღმერთს, თუნდაც  
სკოლაში ვიყო, არ მოიწყინო, გაბედულად იყა-  
ვი და ჩემზე იფიქრე, მე მუდამ შენთან ვიქნები,  
ყველაფერი კარგად იქნება, ყველაფერი... დე-  
დიკო, მიყვარხარ!

გკოცნი, შენი საყვარელი მარიამი“.

ბარათის კითხვა დავამთავრე. ერთიანად  
ვკანკალებდი, ყურებს ბაგაბუგი გაჰქონდა, ყე-

ლში რაღაც მებჯინებოდა, თვალები ცრემლებით მევსებოდა, გული კი – ენით უთქმელი სიხა-რულით, სითბოთი, სიყვარულით და მტკიცე რწმენით: თავი არ უნდა შევირცხვინო!

... ერთ საათში ჩემი ნამუშევრით კომპიუტერთან ვიდექი...გარეთ წვიმას გადაეღო. კლინიკის ეზოში ჩიტები ჭიკჭიკებდნენ, ცაზე ცხრა-თვალა მზე ბრდლვიალებლდა...

გამოცდა წარმატებით ჩავაბარე.

## მარა

ჩავარდნილი ლოყები ძლივს ჩამოვპარსე,  
„პოსლე ბრიწია“ წავუსვი და ყვრიმალებზე ხე-  
ლები ავეტყაპუნე...

— იცი რა გამახსენდა?

— ოთხი-ხუთი წლისა ვარ... თოვს... ჭრელი  
„ციგეიკის“ ქურქში არ ვჩანვარ... მამამ ხელში  
ამიყვანა და გულზე მიმიხუტა. ხელები კისერზე  
შემოვხვიე, ლოყა-ლოყაზე მივადე და გავი-  
რინდე...

ჩემი საბრალო მამა...

და კიდევ...

— თავსხმა წვიმაა... თეთრი მაქმანებიანი კაბა  
მაცვია — ცისთვერი ვარდით... ცისთვერი „კაპიშო-  
ნიანი“ საწვიმარი — თეთრი წინწკლებით, ყელ-  
თან კოპწიად გაბანტული... ტაქსი გველოდება  
ჭიშკართან... გამალებით მოძრაობენ მინის  
საწმენდები, მანქანა მიჰერის გუბეებში, წყალი  
გვერდით მინებს ეშხეთვება — ლამპიონის შუქზე  
ათასთვერად გაბრწყინებული... თვალებს ვხუ-  
ჭავ, მამას იღლიის ქვეშ შეყუული და მიხარია...

მერე, „მელიქ კაზარიანცის“ სახლში პრო-  
ფესორ „გიორგი ზახარიჩის“ მყედრო ბინა —

თეთრტილოგადაფარებული სავარძლები და  
წიგნები... წიგნები...

— „ტი პახუძელა ქეთუნია“ — მამას მუხლზე წა-  
მოსკუპებულს ვერცხლის კოვზით სურნელოვან  
ნამცხვარს მაჭმევს ჩემი ნათლია...

რა ვქნა, ეს გამახსენდა...

## პრიზინაბან პრიზინაბი

ვარსკვლავებით მოჭედილი ზეცა ჩამდგარა  
ციცინათელებით აციმციმებულ ორლობები.  
ჭრიჭინებენ ჭრიჭინები... აკაციების ძირში მო-  
რაკრაკებს გაბაანთ რუ... ბაყაყების გაბმულ  
ყიყინში იკარგება თეძმის ჩხრიალი... კალობ-  
ნის თავზე ქათქათებს მთვარე – ტაშტისოდენა...  
ორი თითით ყელგამოწვდილი მევედრება ჩემი  
პაწია:

„ – გეხვეწები დედიკო,  
ამაფრინე ცაში,  
მთვარეს დავუმეგობრდები,  
წამოვიყვან სახლში.“

– ვუსრულებ სურვილს... მე, ნათია და მთვა-  
რე ერთად მივაბიჯებთ ცისფერი რიკულებით  
დამშვენებულ აივნიან სახლში.

... სადაც, კუთხეში მიღვმულ ნიკელის სა-  
წოლზე, აფუმთულებულ ბალიშზე გადაფარე-  
ბულ, გახამებულ, ბეგიას მოქარგულ ტილოზე  
წამოსკუპებულა ჩემი ბავშვობა... მთვარის სხი-  
ვებით მოვერცხლილი ბროლის სარკე და ნიბ-  
ლიებით მოჩუქურთმებული ხის ზარდახშის პა-  
წია უჯრები – ათასფერი ღილებით სავსე...

## ფილმური ეტიუდი

ნასესხების ცივი ქარი გორაზე შეფენილ პრო-  
ცესიას საფლავებიდან ახვეტილ მტვერს სა-  
ხეში აყრიდა... თითქმის მთაწმინდის სიმაღ-  
ლიდან გადმოვყურებდი თბილისს, მასზე შვი-  
ლივით გულზე მიკრულ დიღომს და ყოფითი  
პრობლემებით დახუნძლულს, ყოველდღიური  
საზრუნავით დაღლილს, გაუცხოებულსა და  
გაგულგრილებულს – მარადიული ყოფის სი-  
დიადე მეუფლებოდა.

სათბურში ძალიან თბილოდა. კი არ თბი-  
ლოდა – ცხელოდა. მზე ათბუნებდა. კი არ  
ათბუნებდა – აცხუნებდა. მზე კი არა, გულმარ-  
თალი გულალალი, გულდიღმური ხალხის  
გულებიდან გამომავალი სითბო ათბუნებდა; კი  
არ ათბუნებდა – აცხუნებდა...

ორ რიგად გაშლილ სუთრას ჩიტის რძეც  
არ აკლდა. ნაღდი, ალალი, მართალი კაცის  
ნაოთლარი მარჯვენით გაშლილ, 89 წლის ანა  
ბებოს საჭირისუფლო სუთრას...

წითური თამადა ყოველ სადღეგრძელოს  
„ქრისტე აღდგათი“ იწყებდა. ორ მწკრივად  
ჩარიგებული, ცხვირ-ყვრიმალ გაწითლებული,

ხელებდაკოურილი, რაღაცნაირად მიამიტვა-  
ლებიანი კაცები შესანდობრის შესმისას წა-  
მოიშლებოდნენ, ღვინიან ჭიქებს თონიდან  
ახლად ამოყრილ დედას პურებზე დააალმა-  
ცერებდნენ და გლეხური სიდინჯით, საქმიანად,  
მადიანად აგრძელებდნენ ცხელი ბოზბაშის  
ხვრეპას...

შვილები, შვილიშვილები, შვილთაშვილები,  
სიძეები, რძლები ერთმანეთში ირეოდნენ...  
გარე სამყაროსგან მინებით გატიხრულ ამ დათ-  
ბუნულ სივრცეში თითქოს ყველას დავიწყებო-  
და სააქაო ყოფის ორომტრიალი.

გულში უჩვეულო, საჭირისუფლო განწყო-  
ბასთან შეუსაბამო, სასიამოვნო სითბო მეღვრე-  
ბოდა და ვთიქრობდი ჩემთვის: რა ადვილი  
ყოფილა ამ ხალხის გარემოცვაში საიქაო სამ-  
ყოფელში გადანაცვლება.

სუფრაზე გორავდნენ წითელი კვერცხები...

აღდგომის სწორის სწორი დღე ინავლებო-  
და...

## უსათაურო

სწორი ნაწლავის კიბო...

მუცელზე დაკიდებული „განავლის მიმღები“

პარკი...

ვერ მოვუვლითო!

— იუარეს.

და... სამოცდათვრამეტი წლის, წელში მოხრილი, თავად მოსავლელი, უშვილძირო მესანთელე ახვრით უცვლის დაბინძურებულ პარკს, თავის ნესტიან მიწურში სამაღლოდ შეფარებულ მსტოვანს... თან ბუტბუტებს გაკვირვებული:

— ქაა, შვიდი შვილი კი ჰყავს და...

„უფალო, უფალო, ჩვენო, ვითარ საკვირველ არს საქმენი შენი, ყოველსა ქვეყანასა ზედა..!“

## მე მიყვარს თბილისი

— ნუ-ნუ-კააააააა... თავგანწირვით გავკიოდი დილაადრიან, სურამის ქუჩის კუთხიდან — ჩე-ლუსკინელების ქუჩაზე.

მაღალი კორპუსის ბოლო სართულის ფანჯრიდან თავს გამოყოფდა მრგვალსათვალეებიანი პატარა გოგო და ხუთ წუთში, ორივენი პაწია მუშტებს ვუბრახუნებდით „უპრავლენის“ (რკინიგზის სამმართველოს) უბანმაჩარ რკინის ჭიშკარს.

„ეზ ინჩა ცავატანემ“ — ისმოდა კარს მიღმა. ჩვენი მეგობარი „საპოუნიკი“ გაგვიღებდა ჭიშკარს და თან გვტუქსავდა სომხურნარევი ქართულით.

უცხო პირთა შესვლა სამმართველოში აკრძალული იყო, არადა, ძალიან მოგვწონდა ამ გზით სკოლაში სიარული.

ხელიხელჩაკიდებულები გადავირბენდით ეზოს, გავუჩინარდებოდით ცისარტყელას ფერების სადენებით გამოტენილ „იდუმალებით მოცული“ ოთახების თავზე დატანებულ ჩაბნელებულ შესასვლელში, ავირბენდით მარმარილოს კიბეებს, ჩავირბენდით და... კლარა ცეტკინზე მიწკარუნობდა ტრამვაი...

აი, ბაქოს ქუჩაც... წითელი დაფხვნილი აგუ-  
რით მოფენილი ჩვენი სკოლის ეზო. შევის-  
წორებდით თეთრნბათოიან კიკინებს სკოლის  
შესასვლელის კუთხეში მიღმულ უბარმა-  
ბარ, მოჩეურთმებულ სარკეში, რომელშიც  
ირეკლებოდა „თხა და გიგოსა“ და „მელია და  
ყურძნის“ პერსონაჟებიანი ვიტრინები.

... მზის სხივებით გაბრწყინებულ, ლაუვარ-  
დისფრად შეღებილ საკლასო ოთახში, უჯრე-  
დებიან დათაბე, მარგო მასწავლებელს ცისფე-  
რი ცარცით გამოჰყავდა ლამაზი სტრიქონები:

„გიყვარდეს სწავლა, გულმოდგინება,  
შრომა და ქაფა ნუ დაგზარდება,  
მუდამ გახსოვდეს, რომ შენი ცოდნა  
შენსა ქვეყანას გამოადგება“ ...  
... ასე ვიზრდებოდით...

## ესეც ჩვენი თბილისია

არ მისაუზმია... შესვენებაზე უნდა მოვასწრო  
საავადმყოფოში ახლობლის მონახულება. ფე-  
ხს ავუჩქარე და ყვითელ ავტობუსში მძღოლის  
უკან მოვკალათდი.

ვერაზე, „ევროპასთან“ პატარა გოგოს მოვ-  
კარი თვალი. ზურგზე სკოლის ჩანთა მოეგდო,  
მარცხენა ხელი დედიკოსთვის ჩაეჭიდა, მარჯ-  
ვენათი ქიშმიშიან ფუნთუშას მადიანად მიირთ-  
მევდა, თან პირგამოტენილი, რაღაცას ეტიკ-  
ტიკებოდა, ალბათ, სკოლის ამზებს უყვებოდა.

უნებლიერ, გონება წარსულისვენ გადამი-  
ფრინდა... მე და დედა – აბანოს ყვითელი ჩან-  
თით, თემური და მამა – ყავისფერი პატარა ჩე-  
მოდნით, ვერის აღმართზე მივიჩქარით...

მერე... ქუსლამოჭრილ სანდლებში წაყო-  
ფილ პატარა ფეხებით მივტყაპუნობ ორთქლით  
სულისშემხუთავად გაჯერებულ სივრცეში...

... თეთრი ფილებით მოპირკეთებულ ტახ-  
ტზე, ნებიერად გაწოლილ შიშველ ქალს მსუქა-  
ნი მექისე ზურგს უხეხავს...

... გარეთ კი, მამა გველოდება, ცხელი, დაბრა-  
წული „სლოივა“ ფუნთუშებით – ნააბანოვარზე...

ეს გამახსენდა...

## მწარე შუპის მოლოდინზი

სპილენძისთვერ ჭადრის ფოთლებს „პლეხანოვზე“ ქარი მიაფრიალებდა... სექტემბრის ცრიატი დილა იყო... წითელ-ყვითელი ფერების საშემოდგომო სევდა შუქნიშანზეც ასახულიყო...

მარჯვენამხრიდან უზარმაზარმა ნაგვის მანქანამ გვერდი ამიქცია და ჩემს წინ გაჩერდა... მანქანის ძარაზე ორმოცდაათიოდე წლის, მხარბეჭიანი „მენაგვე“ შემომდგარიყო. სველი ტილოთი საგულდაგულოდ გაუთოებულ ნარინჯისთვერ შარვალზე, გატკეცილი ნაკეცები მუხლის ქვემოთ გაპრიალებულ ფეხსაცმელებამდე ეშვებოდა... ყვრიმალებზე ხშირ წვერს რომ ახლად გაიპარსავს კაცი, ისეთი ფერი გადასდიოდა: მოცისთვო — მონაცრისთვო... ნაგვის მანქანის ძარის სახელურზე ცალხელ ჩამოვიდებული, საცომში გაჩერებულ ავტომობილებს და მოლოდინისაგან გათანგულ მძღოლებს რაღაცნაირი სიამაყით გადაჰყურებდა... იცოდა კაცმა თავისი ფასი...

... უცებ, ჩვენი თვალები ერთმანეთს შეხვდა... ფართო, ლურჯი და გაბრწყინებული, ბედნი-

ერი კაცის თვალები... დავიბენი, თითქოს გა-  
მოვშტერდი... ჩვენ გავუღიმეთ ერთმანეთს...  
ლამაზი, სანდომიანი ღიმილით... კაცმა თვალი  
ჩამიკრა, მწვანე შუქი აინთო და ნაგვის მანქანა  
ადგილს მოსწყდა...

... მე კი, დავრჩი შუქნიშანის ოქროსფერ შუ-  
ქზე სევდაგამქრალი და რაღაცნაირად ზედ-  
ნიერი...



## ს ა რ ჩ ი ვ ი

### პოეზია

თემმის ჭალებში დავეძებ	5
ატამა ბილილების კაბა შემიკურა	6
ნატვრა	7
ლამაზი სიზმარი	8
საჩუქარი	9
ფერისცვალება	9
გაფრენილი ოცნება	10
აღმაფრენა	11
შემოდგომა	12
ღვინობისთვე	13
ჭორიკანა წვიმა	13
მოულოდნელად	14
შენზე ფიქრებში დაიმსხვრა ღამე	15
ფანჯრის რაფაზე დაჭკნენ იები...	16
*** „ფიქრად ღალატიც ცოდვააო!“	16
ღალატი? – არა!	17
სახუმარო	18
სევდიანი საღამო აგარაკზე	19
ხსოვნა	20
წუთისოფელი	21
საქართველოისათვის	22



*** აქამდე ჩუმად, უსისხლოდ გვკლავდნენ	24
რას ვინატრებდი?!	25
ერის სიმრავლე თუ გადაგვარჩქნს	26
*** უცებ ამიხდა ტკბილი ოცნება	26
დათალზულ საქართველოს	27
გიორგის	28
დარიგება	29
წლები გარბიან	29
ნანინა	30
ძილისპირული	31
სახლობანას თამაში	32
გაზაფხული დიღომში	34
ისევ დადგა გაზაფხული	35
1994 წლის ზამთრის სუსხიანი დღე თბილისში	36
1995 წლის გაზაფხულის პირი...	37
*** წარმოსადეგი	37
მარტის სველი თოვლი	38
*** სუფსარქისის ქარი ქროდა	38
მარტმა თავი გაიგიჟა	39
*** მარტი ამინდს აურევს	40
*** ამოუცნობი სევდა...	41
*** წლები მითერენენ როგორც მერცხლები...	42
*** აი, ზამთრის დასასრულიც...	43
*** თმაში ჩავიწნავ გვირილას	43



*** წუხელ მესიზმრე...	44
*** ყოჩივარდების პატია კონა	45
*** ათი გაზაფხულის ათჯერ დაზამთრება	46
გთხოვთ, გამიხსენოთ ყოველ გაზაფხულს	47
*** მე დაგიტოვებ	48
*** მზესუმზირების ციცქა მზეები	48
ნუ მოჰდორდები ქონებას	49
*** რა საშინელი გრძნობაა ეჭვი	49
ღიღიღო	50
ექსპრომტი ლია – დაიკოს	51
ვენერას	52
ვერხვის ყვითელი ფოთოლი	53
ყაყაჩო	54
*** თეთრი თოლია	54
მშობლიური იდილია	55
ტიროდა ვაზი	56
უძილობისას	58
სიმღერა	59
აღმართ-დაღმართი	60
*** ცუდ სიზმრებიდან გამოვხიზლებულს	62
*** ვკრეფდით გომბორზე	63
*** ვალიხადია ყოფილა	63
*** ყოჩივარდების თაიგულს	64
პატარა ნათიას დედას რომ არ აძინებდა ღამით	64



შინაბერას	65
კაქტუსის ხვედრი	66
ეს ბავშვობა შორეული	67
*** არ გძულდეს, გიყვარდეს	68
*** თვალყურს ვადევნებ	68
ანბანური ჭეშმარიტება	69
*** არ ამაღლდა გული ჩემი	69
მოცისფრო – მოვარდისფრო თეთრი ლექსი	
ცისფერ ეკრანის მესვეურთ	70
*** ხვალინდელ დღეზე ვდარდობ!	72
*** აოქროსფრებდა	72
*** რა დრო გასულა?! შვილები	73
ახალქალაქის ზაფხული	74
ცრემლით...	75
„სეილი“	75
იანვრის სუსხი	76
*** თოლიების თეთრი გუნდი	76
მარტოობა	77
*** ბროწეულის ყვავილის ალისფერი ცეცხლით	78
*** უკან დარჩა ზამთარი	78
*** ჩემო თოლია...	79
გზა	80
გიორგობისთვე	81
გელოდი	82



*** ბროლის სარკის ანარეკლზე	83
*** ატირებულან ვაზის რტოები...	83
*** დამღალა რია-რიამა...	84
*** დაცარიელებულა ეზო ჩემი	85
*** ორმოცი დღე გელან გადაშლილი წიგნები...	86
*** იანვრის ცივი, ჩუმი დილა...	86
*** გარეთ სუსხია, სიცივე...	87
*** ქართული ენის კიდობანიდან	87
შუაღამება პარიზში...	88
*** ვარდისფერად მოთოვს	88
*** წინწკლებიანი სარაფნით	89
*** ჩემი ტკივილი და სევდა...	89
*** „პლეზანოვზე“, მაგნოლიას	90
პატარა ლევანს	91
ელისაბედს	92
მღვიმევის მონასტერი	93

## თარგმანები

*** შენ მითხარი, რომ საადი	95
*** ცისფერი კოფთა, ლურჯი თვალები	96
*** ცისფერ საღამოს, მთვარიან დამეს	97
*** ქარბუქია ისეთი ღმერთმა დალახეროს!	97
შოთხვი	98
არყის ხე	100



*** მშვიდობით კარგო, ნახვამდის	101
*** გვირილების გვირგვინებში	102
*** მარხილი მიჰქრის, მარხილი მიჰქრის	103
*** ახლაც მახსოვს ძვირფასო	104
*** შაგანე ჩემო, კარგო შაგანე!	106
*** ასე მქრქალად რად ანათებს მთვარე	108
*** ოქროსფერ ჭენობით გარემოცული	110
*** ო, როგორ ვწუხვარ და მებრალები	112
*** ცხოვრება - ცრუა გრძნეულ კაუჭნით	114
*** ხეპრეს ეძღვევა სიხარული	116
ლ. 6. კაშინას	118
*** განა მართლა მიყვარხარ?	120
ვერტერს	121
სულის ამოხდა	124
მეუე ნიკიტა და მისი ორმოცი ასული (ზღაპარი)	126
ყვავილი	138
*** მე თქვენ მიყვარდით: ეს სიყვარული	139
*** ტაძრის ზღურბლზე საიდუმლოდ	140
*** გაზაფხულია, მესმა ზარის ხმა	141
*** დავშრდით, მაგრამ შენს სახეს	142
*** მადლობელი ვარ მე ყველაფრისთვის	143
აფრა	144



*** მე მომწონს, თქვენ რომ ავად	
არა ხართ ჩემით	145
239 (თარგმანი ინგლისურიდან)	147
480 (თარგმანი ინგლისურიდან)	148
127 (თარგმანი ინგლისურიდან)	149
არარაობა — აი, ვინა ვარ!	
(თარგმანი ინგლისურიდან)	150
*** დამიმახსოვრე! გახსოვდე მარად	
(თარგმანი ინგლისურიდან)	151
*** სარკმლიდან ამინდს უმზერდა ორი	151
ანაბეჭდ ლი (თარგმანი ინგლისურიდან)	152
 <b>ჩანახატები</b>	
მელა	155
ყაფაჩოსფერი კაბა	158
ნდობის ფაქტორი	161
ტესტური გამოცდა	165
მამა	169
ჭრიჭინებენ ჭრიჭინები	171
დილმური ეტიუდი	172
უსათაურო	174
მე მიყვარს თბილისი	175
ესეც ჩემი თბილისია	177
მწვანე შუქის მოლოდინში	178



ქეთევან პაპიძე

თემის ფალეზი  
დავებერ

პოეზია, თარგმანები, ჩანახატები

თბილისი, 2017 წელი

ნიავექანის შემუყარების  
მინდვრად წითელი ყაყაჩი.  
გულისპირის ხალვებს უკორის,  
ლამის ალერებით დასხრჩის.

ISBN 978-9941-0-9586-3



9 789941 095863